ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNDP
Empowered lives
Resilient nations.

არჩევნების მედიამონიტორინგის საბოლოო ანგარიში

2016-2018

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

This report has been produced with assistance of the European Union (EU) and United Nations Development Programme (UNDP). Its contents are the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of the European Union (EU) and UNDP.

შესავალი

გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდებოდა მედიამონიტორინგი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში.

წინასაარჩევნო პერიოდში მედიამონიტორინგს ახორციელებდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები:

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია - სატელევიზიო ახალი ამბებისა და სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგი
- ინტერნიუსი-საქართველო - რადიოების მონიტორინგი
- სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი (CDI) - ბეჭდური და ონლაინ მედიის მონიტორინგი

წინამდებარე ანგარიში აერთიანებს 2016-2018 წლებში ჩატარებული კვლევების შედეგებს. ანგარიშში წარმოდგენილია, თუ როგორ იცვლებოდა საარჩევნო პროცესების გაშუქება სხვადასხვა ტიპის მედიასაშულებებში ამ სამი წლის განმავლობაში და გამოვლენილია მედიისთვის ამ დრომდე არსებული ძირითადი გამოწვევები.

შესავალი

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ 2016-2018 წლებში წინასაარჩევნო პერიოდში ატარებდა მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. მონიტორები აკვირდებოდნენ მაუწყებლების საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტოქშოუებს.

ყოველ წელს წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე ტარდებოდა კვლევა, თუ რომელი არხიდან იღებს ყველაზე მეტად ინფორმაციას აუდიტორია. სწორედ ამ კვლევის საფუძველზე ირჩეოდა სამონიტორინგო მაუწყებლები. სამი წლის განმავლობაში დაკვირვება მიმდინარეობდა შემდეგ არხებზე:

- *2016 წელი, საპარლამენტო არჩევნები:* საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, GDS, ტაბულა, კავკასია, ტვ პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25.

სამონიტორინგო პერიოდი: საინფორმაციო გამოშვებები - 20 მაისი - 2 ნოემბერი, ტოქშოუები - 1 ივლისი - 2 ნოემბერი

- *2017 წელი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები*: საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, ტვ პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25, რიონი, გურჯაანი, გურია, ქვემო ქართლი, თრიალეთი, ოდიში, მეცხრე არხი.

სამონიტორინგო პერიოდი: საინფორმაციო გამოშვებები - 19 ივნისი - 19 ნოემბერი, ტოქშოუები - 19 აგვისტო - 19 ნოემბერი

- *2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები:* საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, იმედი, ტვ პირველი, იბერია, მაესტრო, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია

წინამდებარე ანგარიშში შეჯამებულია სამწლიანი მონიტორინგის შედეგები, გაანალიზებულია ძირითადი ტენდენციები, რაც თან ახლდა წინასაარჩევნო პერიოდის გაშუქებას.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეულნი იყვნენ:

- პრეზიდენტი
- მთავრობა
- პოლიტიკური პარტიები

ახალი ამბების მედიამონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივი მოიცავს სუბიექტებისთვის დათმობილი დროს, პირდაპირ და ირიბს საუბარსა[1] და გაშუქების ტონს. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება. გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს საკუთარ თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება დათმობილი დროის ტონი. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს. თვისებრივი მონიტორინგისას ფასდება ბალანსი ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტე, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდებოდა თუ რამდენად შესაბამისი იყო ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები).

ტოქშოუების შემთხვევაში მონიტორები აკვირდებოდნენ, თუ როგორ ჩანდნენ კვლევის სუბიექტები გადაცემებში. თითოეულ ტოქშოუს აფასებდნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: არის თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შესაბამისია მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემასთან, სტუმრების შერჩევისას ხომ არ იკვეთება მიკერძოება, როგორ მიმდინარეობს მსჯელობა, რამდენად კარგად მართავს დისკუსიას წამყვანი, როგორია მისი კითხვები, არის თუ არა წამყვანი მომზადებული, აძლევს თუ არა ის სტუმრებს ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას, გადაცემა ხომ არ არის გამოყენებული სიძულვილის ენის გასავრცელებლად. საერთო ჯამში, იღებს თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რაც მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

მოკლე მიმოხილვა

ტელემაუწყებლები მნიშვნელოვანი აქტორები არიან წინასაარჩევნო პერიოდში, რადგან ძირითადად მათ სარედაქციო პოლიტიკაზეა დამოკიდებული თუ რა ფორმით და როგორ მიიღებენ საარჩევნო კანდიდატების შესახებ ინფორმაციას ამომრჩევლები. წლების მანძილზე სადისკუსიო გადაცემებსა და საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ 2016 წლის შემდეგ სულ უფრო იზრდებოდა მაუწყებელთა პოლარიზაცია - ტელესივრცე ორპოლუსიანი ხდებოდა, მაუწყებლთა ერთი ნაწილი ხელისუფლების სასარგებლოდ იყო მიკერძოებული, მეორე კი - ოპოზიციისადმი. 2018 წელს ამ პოლარიზაციამ პიკს მიაღწია. 2016, 2017 წლებში მიკერძოება ამა თუ იმ კანდიდატის პოზიტიურად გაშუქებაში გამოიხატებოდა, 2018 წელს კი მიკერძოება ჩანდა არასასურველი კანდიდატების ნეგატიური გაშუქებაში, რასაც თან ახლდა პროფესიული ეთიკის დარღვევისა და მანიპულაციის შემთხვევები. მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის ნეგატიური გაშუქებით ერთ მხარეს

[1] პირდაპირია, როცა სუბიექტი, ამ შემთხვევაში კანდიდატი, თავად საუბრობს და ირიბია, როცა მასზესაუბრობენ

აღმოჩნდა „რუსთავი 2“, მეორე მხარეს კი გრიგოლ ვაშაძის უარყოფითად წარმოჩენით - „იმედი“, საზოგადოებრივი მაუწყებელი და „ობიექტივი“.

სამი წლის მანძილზე „რუსთავი 2“ მკვეთრად კრიტიკული იყო მთავრობისა და მმართველი პარტიის მიმართ. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კი ღიად ჩაერთო „ქართული ოცნებისადმი“ მხარდაჭერილი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის საწინააღმდეგო კამპანიაში. ამის საპირისპიროდ „იმედის“ სარედაქციო პოლიტიკა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. 2016, 2017 წლებში „იმედის“ მიკერძოება ხელისუფლებისადმი ლოალურ დამოკიდებულებში ვლინდებოდა და 2018 წლისგან განსხვავებით არ ყოფილა ვინმეს დისკრედიტაციაზე ორიენტირებული.

„იმედის“ მსგავსი იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკა 2017-2018 წლებში. არც ის ყოფილა კრიტიკული ხელისუფლების მიმართ. ზოგ შემთხვევაში გადმოსცემდა მმართველი პარტიის სასურველ ნარატივს და პოზიტიურად წარმოაჩენდა აღმასრულებელ ხელისუფლებას. თუ 2016 წელს არხზე არ გამოვლენილა მიკერძოების მნიშვნელოვანი ტენდენცია, 2017-2018 წლებში მმართველი პარტიის კანდიდატის სასარგებლო და ოპოზიციის კანდიდატის ნეგატიურმა გაშუქებამ იმატა. ასევე ეთერიდან გაქრა ტოქშოუები, რომლებშიც კანდიდატებს მწვავე კითხვებზე უწევდათ პასუხის გაცემა. საპირისპირო ტენდენცია გამოიკვეთა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაში. 2016 წელთან შედარებით, 2017-2018 წლებში, არხი მიუკერძოებელ მაუწყებლად ჩამოყალიბდა, თუმცა მოვლენების სიღრმისეული გაშუქება პრობლემად დარჩა. ამ პოლარიზებულ გარემოში მიუკერძოებელი სივრცის დაკავებას ცდილობს „ტვ პირველი“. მის ეთერში არ შეიმჩნეოდა რომელიმე საარჩევნო სუბიექტის ტენდენციურად გაშუქება.

გაუარესების ტენდენცია ჩანს ტელეეთერში სადისკუსიო სივრცის შექმნის თვალსაზრისით. 2016 წელს ბევრად მეტი გადაცემა ეთმობოდა კანდიდატებს და მათ მხარდამჭერებს შორის დებატებს, შესაბამისად, აუდიტორიისთვის მათი ხედვების შესახებ ინფორმაცია მეტად უზრუნველყოფილი იყო. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების განმავლობაში კი არხების უმეტესობას მოსახლეობისთვის დებატები არც შეუთავაზებია. ზოგადად, ამ წლის გაშუქება გამოირჩეოდა იმით, რომ არჩევნები არ იყო ძირითადი განსახილველი თემა, განსაკუთრებით პირველი ტურის წინა პერიოდში როცა ის სხვა მიმდინარე მოვლენებმა გადაფარა.

ზოგადად სიღრმისეული გაშუქება მიმდინარე ამბების და ტოქშოუებში საკითხების ანალიზის დაბალი ხარისხი ქართული ტელემედიის გამოწვევად რჩება. მაუწყებლების უმრავლესობას უჭირს თემების მოძიება, პრობლემების იდენტიფიცირება, გამოკვლევა და საკუთარი დღის წესრიგის შეთავაზება აუდიტორიისთვის. სადისკუსიო გადაცემებში საკითხები ზედაპირულად განიხილება, რაც ხელს უშლის მაყურებელს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია, გააანალიზოს კანდიდატთა ხედვები და კენჭისყრის დღეს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება.

2016-2018 წლებში დადებითი ტენდენცია შეიმჩნეოდა სიძულვილის ენის შემცირების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინფორმაციო გამოშვებებში. ჩანს, რომ მაუწყებლები მაქსიმალურად ცდილობდნენ, არ გამხდარიყვნენ ამგვარი გამოხატვის გამავრცელებლები. უფრო მეტიც, 2018 წელს საინფორმაციო გამოშვებებში აკრიტიკებდნენ იმ საჯარო პირებს, ვინც სიძულვილის ენას იყენებდა. აშკარა სიძულვილის ენა არა, მაგრამ შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ნამდვილად ახლდა თან 2018 წლის საპრეზიდენტო კანდიდატების ნეგატიურ გაშუქებას. ამ მხრივ გამორჩეული იყო „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „კვირის აქცენტები“, რომლის ერთ-ერთი წამყვანი არანორმატიულ ლექსიკასაც იყენებდა. როგორც სიძულვილის ენა, ისე შეურაცხმყოფელი გამონათქვამები მოუგვარებელ პრობლემად დარჩა ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში, რომელიც სამივე წლის მანძილზე „პატრიოტთა ალიანსის“ პლატფორმა იყო.

პოლარიზაცია

სამწლიანი მონიტორინგი ნათლად აჩვენებს, როგორ ძლიერდებოდა მაუწყებლების პოლარიზაცია. ამ ხნის მანძილზე მათი უმრავლესობის სარედაქციო პოლიტიკა განსხვავებული მიმართულებით ყალიბდებოდა და მკაფიოდ იკვეთებოდა ორი პოლუსი - ხელისუფლებისა და ოპოზიციის სასარგებლოდ. ჯერ კიდევ 2016 წელს უკვე ცალსახა იყო მაუწყებელთა არჩევანი. ერთ მხარეს, მსგავსი სარედაქციო პოლიტიკით იყვნენ „იმედი“, „მაესტრო“ და „GDS“. ისინი საინფორმაციო გამოშვებებში ზოგჯერ უპირატეს მდგომარეობაში მთავრობას, პრემიერ-მინისტრსა და მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ აყენებდნენ და გამორჩეულად აკრიტიკებდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“[2]. ამ არხებზე ტოქშოუებში ხშირად იწვევდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს და მათ დიდ დროს უთმობდნენ; ამასთან, სისტემატურად განიხილავდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან „მოსალოდნელ დესტაბილიზაციას,“[3] მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისთვის არ წარუდგენიათ მოსალოდნელი არეულობის დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული მტკიცებულება. ამგვარი გაშუქებით ისინი ამყარებდნენ ხელისუფლების ნარატივს, თითქოს ოპოზიცია ქვეყანაში არეულობისკენ ისწრაფვოდა და ხელს უწყობდნენ, ეს თემა დღის წესრიგში დარჩენილიყო. ამასთან, თვალსაჩინო იყო წამყვანთა ლოიალური დამოკიდებულება ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ.

ამის საწინააღმდეგოდ, 2016 წელს „რუსთავი 2“ კრიტიკული იყო როგორც მთავრობის, ისე მმართველი პარტიის მიმართ, რასაც რაოდენობრივი მონაცემებიც ადასტურებს. მთავრობისთვის დათმობილი დროის 66% ნეგატიურად წარმოაჩენდა მას. ამის პარალელურად იკვეთებოდა დადებითი გაშუქება „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. თუმცა, ჯამში პოზიტიურად გაშუქებას დათმობილი დროის 5%-სთვის არ გადაუჭარბებია.

იგივე სარედაქციო პოლიტიკა იგრძნობოდა „რუსთავი 2“-ის სადისკუსიო გადაცემებშიც, სადაც წამყვანები ცდილობდნენ დაესვათ მწვავე კითხვები მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მიმართ. ისინი აძლევდნენ საშუალებას ხელისუფლებისადმი

[2] 2016 წლის საპარლამენტო მონიტორინგის შედეგები. გვ6. http://mediamonitor.ge/files/MM%20Final%20Report%20(Geo).pdf

[3] იგივე გვ.20

კრიტიკულად განწყობილ რესპონდენტებს კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე დაედანაშაულებინათ ხელისუფლება და მისი წევრების მისამართით დაუსაბუთებელი ბრალდებები გაეჟღერებინათ.

კერძო მაუწყებლების ამგვარი განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის ფონზე 2016 წელს მიუკერძოებლად გამოიყურებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, თუმცა, ამ არხზე, რამდენიმე შემთხვევაში, უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენეს „ქართული ოცნება“. რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ, მართალია, სხვა არხებთან შედარებით ყველაზე დადებითად (10%) მთავრობა სწორედ პირველმა არხმა გააშუქა, მაგრამ უარყოფითი გაშუქება სჭარბობდა დადებითს, რადგან საერთო დროის 24% ნეგატიურად წარმოაჩენდა ხელისუფლების ამ შტოს. საერთო ჯამში რომელიმე სუბიექტის მიკერძოებულად გაშუქების ცალსახა ტენდენცია არ გამოვლენილა.





საინფორმაციო გამოშვებების მსგავსად დაბალანსებულად გამოიყურებოდა სადისკუსიო პროგრამებიც. 2016 წელს მაუწყებელი სამ ტოქშოუს სთავაზობდა აუდიტორიას. მათგან განსაკუთრებით გამორჩეული იყო გადაცემა „ინტერview", რომელიც hard talk-ის ფორმატში მწვავე კითხვებს სვამდა ყველა რესპონდენტის მიმართ.

2016 წლის არჩევნების დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქართულ მედიაგარემოში: გაერთიანდა „იმედი," GDS და „მაესტრო"[4]. თავის, მხრივ GDS-მა შეაჩერა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები და გასართობ მაუწყებლად იქცა. ამ მაუწყებლების გაერთიანებას თან დაერთო ისიც, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის პოსტი დატოვა გიორგი ბარათაშვილმა, რომელიც ამ თანამდებობაზე ვასილ მაღლაფერიძემ, GDS-ის ყოფილმა მთავარმა პროდიუსერმა ჩაანაცვლა[5]. მან შეაჩერა გადაცემები, არხზე კი GDS-ის ყოფილი თანამშრომლები ღია

[4] 2017 წლის 4 მნიშვნელოვანი მოვლენა მედიაში, mediachecker.ge. https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/mimokhilva/article/49494-gasuli-tslis-4-mnishvnelovani-movlena-mediashi

[5] მაუწყებლის დირექტორის კონკურსში მონაწილე 15 კანდიდატიდან ვასილ მაღლაფერიძე ერთადერთი იყო, ვის პოლიტიკურ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვები არსებობდა, რადგან წარსულში იყო "მოქალაქეთა კავშირის" წევრი, 2 მოწვევის პარლამენტის წევრი, „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის დროს იკავებდა გუბერნატორის პოზიციას, მოგვიანებით მუშაობდა ქართული ოცნების

კონკურსის გარეშე დაასაქმა[6]. ეს ცვლილება მყისიერად აისახა სამაუწყებლო ბადესა და მთლიანად სარედაქციო პოლიტიკაზე, რაც თვალსაჩინო გახდა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქებაზე დაკვირვებით.

ამ წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა წინასაარჩევნო პერიოდი ისე ჩაამთავრა, სადისკუსიო სივრცე არ შეუთავაზებია არც კანდიდატებისთვის და არც საზოგადოების სხვა წევრებისთვის. გადაცემა, სადაც კანდიდატები მკაცრად განსაზღვრულ დროში ფორმალურ კითხვებს პასუხობდნენ, ერთადერთი იყო, რაც მაუწყებლის ეთერში გავიდა[7]. 2017 წლის არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ მაუწყებელმა აუდიტორიას ორი ტოქშოუ შესთავაზა. მათგან ერთ-ერთი იყო „კვირის ინტერვიუ“, მეორე კი „აქტუალური თემა“, რომელსაც GDS-ის ყოფილი წამყვანი უძღვებოდა. გადაცემა კრიტიკული კითხვებით არ გამოირჩეოდა. თუმცა, ხელისუფლებისადმი მიკერძოება ახალ ამბებში უფრო მეტად ჩანდა, ვიდრე ტოქშოუებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისიცაა, რომ ტოქშოუები უფრო ზოგად თემებს ეხებოდა და პრობლემური საკითხები სიღრმისეულად ნაკლებად განიხილებოდა.

პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ მაყურებელს თითქმის არასდროს სთავაზობდა მწვავე ექსკლუზიური მასალებს, გადაცემა ვერ ავლენდა კორუფციულ ფაქტებს, ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებს. ამის ნაცვლად ეთერში გადიოდა ხელისუფლების წარმომადგენელთა შესახებ 6-7 წუთიანი პოზიტიური სიუჟეტები[8], ჟურნალისტთა დადებითი ეპითეტებით. სიუჟეტების ძირითად რესპონდენტებად კი მმართველი პარტიის წევრები გვევლინებოდნენ. ხელისუფლებისთვის კრიტიკულ მომენტში „მოამბე“ ავლენდა მისდამი მიკერძოებას და არღვევდა ეთიკურ პრინციპებს. მაგალითად, ხანგრძლივი პოზიტიური სიუჟეტები მოამზადეს კახი კალაძის შესახებ, რომელიც მხოლოდ მისი კომენტარებითა და წამყვანის ტექსტებით იყო აწყობილი.

ხელისუფლებისადმი არამოდარაჯე პოზიციით პირველი არხთან ერთად „იმედი“ 2017 წლის მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში გამოირჩეოდა. არჩევნების შემდგომ კი ამ ორი არხის სარედაქციო პრიორიტეტები მაქსიმალურად დაახლოვდა. ისინი, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელისუფლების მიმართ მომზადებული ლოიალური სიუჟეტებით განსაკუთრებით ჰგავდნენ ერთმანეთს[9].

2017 წელს, „იმედზეც“ მიკერძოება საინფორმაციო გამოშვებებში უფრო მეტად ჩანდა, ვიდრე ტოქშოუებში. „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ თითქმის არ აკრიტიკებდა მმართველ გუნდს, ნაკლებად სწყალობდა მოქმედ პრეზიდენტს, განსაკუთრებით უარყოფითად აშუქებდა მიხეილ სააკაშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას.“ არჩევნების შემდეგ არაერთი დადებითი სიუჟეტი მიეძღვნა თბილისის ახლად

თავმჯდომარის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის „მეცხრე არხსა“ (დირექტორის მოადგილე) და GDS-ზე (2030-ის გენერალური პროდიუსერი)

[6] დასაქმების გაუმჭვირვალე პოლიტიკა საზოგადოებრივ მაუწყებელში, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, https://www.transparency.ge/ge/blog/dasakmebis-gaumchvirvale-politika-sazogadoebriv-maucqebelshi

[7] 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგის შედეგები, გვ.43. http://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/MM_FINAL_REPORT_2017_GEO.pdf

[8] იგივე. გვ. 10-14

[9] იგივე. გვ. 20

არჩეულ მერს კახა კალაძეს და მთავრობის ახალ წევრებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამორჩეული იყო გადაცემა „იმედის კვირა“[10]. წამყვანის მიკერძოება მმართველი პარტიის სასარგებლოდ იგრძნობოდა „ქრონიკის“ იმ ნაწილშიც, სადაც სტუმრებს იწვევდნენ. ჟურნალისტი კრიტიკულ კითხვებს სვამდა არა ხელისუფლების, არამედ ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ. აქვე აღსანიშნავია, რომ რაოდენობირივი მაჩვენებლების მიხედვით, „იმედის“ ეთერში თბილისის მერობის კანდიდატების გაშუქების 46% კახა კალაძეს დაეთმო.

საერთო ჯამში ჩანდა, რომ თუკი 2016 წელს „იმედის“ და GDS-ის სარედაქციო პოლიტიკა იყო მსგავსი, 2017 წელს გასართობ არხად გადაკეთებულ GDS-ის ნაცვლად „იმედის“ სარედაქციო პოლიტიკა საზოგადოებრივი მაუწყებლისას დაუახლოვდა. ამავე პერიოდში „მაესტროს“ გადაცემები პრაქტიკულად გაჩერდა და არხი „იმედის“ ერთგვარ დანამატად იქცა. „მაესტრომ“ დაკარგა აუდიტორია, რის გამოც 2017 წელს მონიტორინგისთვის შერჩეულ მედიასაშუალებებშიც ვეღარ მოხვდა.

2016 წლის მსგავსად 2017 წელსაც ხელისუფლებისადმი კრიტიკული რჩებოდა „რუსთავი 2“, რომლის ლოიალური დამოკიდებულება „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ კიდევ უფრო გამოიკვეთა. თბილისის მერობის კანდიდატი ამ პარტიიდან გახდა ზაალ უდუმაშვილი, რომელიც „რუსთავი 2“-ის მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანი იყო წლების განმავლობაში. ის ეთერში დაემშვიდობა აუდიტორიას, თანაწამყვანმა კი მაყურებლებს მისი მხარდაჭერისკენ მოუწოდა, რაც „მაუწყებელთა ქცევის კოდექსს“ ეწინააღმდეგება, ვინაიდან წამყვანს კონკრეტული პარტიის საჯარო მხარდაჭერა ეკრძალება.

არხმა ზაალ უდუმაშვილის პოზიტიურად წარმოჩენა ამ დღიდანვე დაიწყო. მისი გაშუქების ინტენსივობა და პოზიტიური ტონი სცდებოდა მიუკერძოებელი, დაბალანსებული, ეთიკური ჟურნალისტიკის ფარგლებს. თითქმის მუდმივ რეჟიმში დადებითად შუქდებოდა მიხეილ სააკაშვილის აქტივობები უკრაინაში. პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შუქდებოდა. სხვადასხვა მოვლენებისა თუ ამბების გაშუქებისას და შეფასებისას არხი ყველაზე მეტად სწორედ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ლიდერთა კომენტარებს იყენებდა[11].

[10] 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგის შედეგები, გვ.19-21. http://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/MM_FINAL_REPORT_2017_GEO.pdf

[11] იგივე. გვ. 15-17



„ნაციონალური მოძრაობის“ პოზიტიურად წარმოჩენა გამოიხატა ტოქშოუშიც „არჩევანი“ სადაც, ზოგიერთ შემთხვევაში, პარტიის წარმომადგენლებს ეძლეოდათ საშუალება არგუმენტების გარეშე წაეყენებინათ ბრალდებები ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. „არჩევანთან“ ერთად ეთერში გადიოდა გადაცემა „განსხვავებული აქცენტები“, სადაც hard talk-ის ფორმატში მიმდინარეობდა ინტერვიუ რესპონდენტთან, თუმცა, როგორც წამყვანი აღნიშნავდა, მმართველი პარტიის წარმომადგენლები უარს ამბობდნენ მონაწილეობაზე.

ამ გადაცემამ 2018 წელს მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა და ფაქტობრივად „რუსთავი 2-ის“ სარედაქციო პოლიტიკის გამომხატველი გახდა, მისი წამყვანის პოზიცია ეკა კვესიტაძესთან ერთად „რუსთავი 2-ის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ დაიკავა და „კვირის აქცენტები“ ეწოდა. გადაცემამ ფორმატიც შეიცვალა, წამყვანებმა აუდიტორიას ამცნეს, რომ მიმდინარე მოვლენებზე საკუთარ მოსაზრებებს წარმოაჩენდნენ. სწორედ ამ გადაცემამ გახადა ნათელი, რომ „რუსთავი 2-ის“ სარედაქციო პოლიტიკა ამ არჩევნებზე მიმართული იყო უმეტესად ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის უარყოფითად წარმოჩენაზე. მას მოიხსენიებდნენ როგორც „მოღალატეს“ და პირდაპირ მოუწოდებდნენ საზოგადოებას, რომ არ აერჩიათ ის, რადგანაც მათი აზრით, ეს არჩევნები საგარეო კურსზე რეფერენდუმის ტოლფასი იყო. გადაცემაში ისმოდა შეურაცხმყოფელი ფრაზები და ერთ-ერთი წამყვანის მხრიდან არანორმატიული ლექსიკაც კი. ხშირი იყო დაუსაბუთებელი ბრალდებები ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც გადაცემაში მონაწილეობა არ მიუღიათ „ნაციონალური მოძრაობის“, „ევროპული საქართველოს“ და სხვა პარტიების წარმომადგენლებისგან განსხვავებით. გადაცემაში რამდენჯერმე ჩართეს მიხეილ სააკაშვილიც, რომელსაც ფაქტობრივად ტრიბუნა ეთმობოდა საკუთარი მოსაზრებების, ზოგჯერ ბრალდებების, ქსენოფობიური გამონათქვამების ტირაჟირებისთვის. გადაცემაში წამყვანებისგან განსხვავებული მოსაზრება ფაქტობრივად არ ისმოდა.

გადაცემის გაცხადებული პოზიცია, რომ ავტორები საკუთარ მოსაზრებებს ავრცელებენ, არ ათავისუფლებს მედიას მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვისგან. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის თანახმად, „საავტორო პროგრამებში აუდიტორიას უნდა მიეწოდოს მოსაზრებათა ფართო სპექტრი, თავიდან უნდა იქნეს აცილებული ფაქტების დამახინჯება

და განსხვავებული აზრის არასწორი ინტერპრეტირება. საავტორო პროგრამის წამყვანმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი მდგომარება საკუთარი მოსაზრების იმ ფორმით გავრცელებისათვის, რომელმაც შეიძლება ხელყოს პროგრამის მიუკერძოებლობა“. დაუშვებელია ამგვარი ფორმატის გამოყენება არაზუსტი ფაქტების, დაუდასტურებელი ინფორმაციის ანდა ბრალდებების ტირაჟირებისთვის.

2018 წლის არჩევნების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ არასასურველი კანდიდატის ნეგატიური გაშუქება იყო. თუკი 2016-2017 წლებში მიკერძოება გამოიხატებოდა დადებითად წარმოჩენაში, 2018 წელს არხების სარედაქციო პოლიტიკის მთავარი ინდიკატორი უარყოფითი გაშუქება გახდა, რაც არა მხოლოდ ტოქშოუებსა თუ საავტორო გადაცემებში, არამედ საინფორმაციო გამოშვებებშიც ცალსახად ჩანდა. ეს განსაკუთრებით ცხადი იყო „რუსთავი 2-ის“ და „იმედის“ ეთერში. მათ მიერ კანდიდატებზე მომზადებული სიუჟეტები მანიპულაციით და ეთიკური პრინციპების დარღვევით გამოირჩეოდნენ.

სალომე ზურაბიშვილის შესახებ საინფორმაციო გამოშვებებში გასულ მასალებში „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები საკუთარ საავტორო ტექსტებშიც მის მიმართ განსაკუთრებული კრიტიკით, ზოგჯერ ცინიზმითა და ირონიით გამოირჩეოდნენ. ამასთან, აშკარად შესამჩნევი იყო ლოიალური დამოკიდებულება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, მიხეილ სააკაშვილის და პრეზიდენტობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძის მიმართ. მაგალითად, გრიგოლ ვაშაძის ოფიციალურ პრეზენტაციას კურიერში 46 წუთი დაეთმო, აქედან 4 დღეში მისი კონკურენტის, დავით ბაქრაძის წარდგენას კი ორ წუთზე ნაკლები.

განსაკუთრებით მეორე ტურის წინ გაიზარდა ეთიკური სტანდარტების დარღვევით მომზადებული მანიპულაციური სიუჟეტები საინფორმაციო გამოშვებებში. თუკი „რუსთავი 2-ზე“ სალომე ზურაბიშვილს წარმოაჩენდნენ მოღალატედ და რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებაში სდებდნენ ბრალს, „იმედზე“ გრიგოლ ვაშაძეს წარმოაჩენდნენ „პუტინის პროექტად“. საერთო ჯამში ორივე კანდიდატის ნეგატიურად გაშუქების მთავარი ხაზი რუსეთთან თანამშრომლობასა და 2008 წლის ომთან დაკავშირებულ განცხადებებზე გადიოდა. ეს დისკურსი შენარჩუნებული და უფრო გაძლიერებული იყო ტოქშოუებში.





კანდიდატების ნეგატიური გაშუქების პარალელურად „რუსთავი 2“ კიდევ უფრო კრიტიკული გახდა მმართველი პარტიის და ხელისუფლების ყველა შტოს მიმართ. არხი მათ ამხელდა კორუფციაში, ნეპოტიზმში, ადამიანის უფლებების დარღვევაში და სხვა მძიმე ბრალდებებს უყენებდა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ბრალდებები მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული.

“რუსთავი 2-სგან” სრულიად საპირისპირო სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდა „იმედს“, რომელიც განსაკუთრებით უარყოფითად აშუქებდა გრიგოლ ვაშაძეს, სალომე ზურაბიშვილის წარმოჩენას კი დადებით კონტექსტში ცდილობდა. ნეგატიურად აშუქებდნენ მიხეილ სააკაშვილსაც და მთლიანად „ნაციონალურ მოძრაობას“. ამგვარი დამოკიდებულებით და საინფორმაციო გამოშვების მთავარი გზავნილებით „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებას ჰგავდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“. მაგალითად, ორივე არხის გამოშვებაში ვრცლად და განსაკუთრებით დადებითად გაშუქდა მამუკა ბახტაძის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა და მისი საქმიანობა. პირველი არხის სარედაქციო პოლიტიკა ამჯერადაც ხელისუფლების მიმართ უფრო ლოიალური იყო, ვიდრე კრიტიკული. მონიტორინგის რაოდენობრივ მაჩვენებლებში ხელისუფლების კრიტიკული ტონი ძირითადად საპარლამენტო ოპოზიციის კომენტარებით იყო განპირობებული.

რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ როგორც „იმედი“, ისე პირველი არხი ხელისუფლების ნარატივის გატარებას ცდილობდა. ეს განსაკუთრებით ტოქშოუებში იგრძნობოდა. მინისტრების თუ ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა სტუმრობისას ნაცვლად ცხარე დისკუსიისა და კრიტიკული კითხვებისა, წამყვანები ფაქტობრივად ზოგად თემებზე საუბარს სთავაზობდნენ, რათა რესპონდენტებს სასურველი მიმართულებით განევრცოთ და ეთერი საკუთარი მოსაზრებების გასავრცელებლად გამოეყენებინათ. არსებულ პრობლემებზე კითხვას ისე სვამდნენ წამყვანები, თითქოს მის არსებობას ეჭვქვეშ აყენებდნენ, მაგალითად, „არასამთავრობო ორგანიზაციები ამბობენ“, „თქვენმა ოპონენტებმა განაცხადეს“ და ა.შ. კითხვები ფაქტებს ნაკლებად ეფუძნებოდა. შესაბამისად თანამდებობის პირები, რომლებსაც ეთერში ყოფნისას მწვავე კითხვებზე უნდა უწევდეთ პასუხი, კომფორტულად გრძნობდნენ თავს ჟურნალისტების პირისპირ.

მაუწყებლების დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი ცხადად გამოჩნდა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მიერ ორგანიზებულ ტოქშოუშიც, რომელშიც „რუსთავი 2-ის“, „იმედის“ და „ტვ პირველის“ წამყვანები მონაწილეობდნენ. თუკი „რუსთავი 2“ და „ტვ პირველი“ ბიძინა ივანიშვილის მიმართ კრიტიკული კითხვების დასმას ცდილობდნენ, „იმედის“ წამყვანი საუბარში 40 წუთის გასვლის შემდეგ ჩაერთო მისი კითხვები ცხარე დისკუსიის ერთგვარი გამანეიტრალებელის როლს ასრულებდა და რესპონდენტს მისთვის სასურველი მიმართულებით საუბრის საშუალებას აძლევდა.







2018 წელს პოლარიზაციამ ფაქტობრივად პიკს მიაღწია, „იმედი“ და „რუსთავი 2“ საარჩევნო კამპანიების მთავარი ფიგურანტები გახდნენ. ამ ფონზე კი საზოგადოებრივი მაუწყებელი კვლავაც „იმედის“ ფლანგზე აღმოჩნდა და ამჯერადაც ვერ შეძლო კანონით დაკისრებული მიუკერძოებელი და საზოგადოების ინტერესებზე მორგებული სარედაქციო პოლიტიკის შექმნა.

ქართულ მედიასივრცეში არსებობს კიდევ ერთი მაუწყებელი მკვეთრად გამოხატული მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკით - „ობიექტივი“, რომელიც მონიტორინგის ყველა პერიოდში პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ პლატფორმა იყო. ამ პარტიის წევრები არიან ტელევიზიის დამფუძნებლებიც. შესაბამისად ისინი პოზიტიურად იყვნენ წარმოჩენილნი როგორც საინფორმაციო გადაცემაში, ასევე ტოქშოუებში. პარტიის წევრები ხან სტუმრის სტატუსით მონაწილეობდნენ გადაცემებში, ხან კი თავად იყვნენ წამყვანები. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამ არხის წამყვანები მაჟორიტარობის კანდიდატები გახდნენ, არჩევნების წაგების შემდეგ კი ეთერს დაუბრუნდნენ. სადისკუსიო გადაცემებში განსხვავებული აზრი პრაქტიკულად არ ისმოდა და ამომრჩეველს ღიად მოუწოდებდნენ, რომ არ დაეჭირათ მხარი „ნაციონალურ მოძრაობის“ და „ევროპულ საქართველოსთვის“.



ჩანდა, რომ არხი გამოიყენებოდა „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური მიზნებისთვის, მათი აქციების ორგანიზებისთვის და განსაკუთრებით აქტიურები იყვნენ, როდესაც თავად მონაწილეობდნენ არჩევნებში. მაგალითად, 2018 წელს მათ საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავდათ და ტოქშოუშიც 2016-2017 წლებთან შედარებით იშვიათად ჩნდებოდნენ ამ პარტიის წევრები. ამ წელს დაბალი იყო მათი გაშუქება საინფორმაციო გამოშვებებშიც, თუმცა, მეორე ტურის წინ მათ მხარი სალომე ზურაბიშვილს დაუჭირეს, შესაბამისად, „ობიექტივმაც“ სარედაქციო პოლიტიკა რადიკალურად შეცვალა და დაიწყო კამპანია „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ. სიუჟეტები ხშირად ეთიკური პრინციპების დარღვევით მზადდებოდა.

პოლარიზებული მედიაგარემო და მიკერძოებული გაშუქება აზიანებს ამომრჩევლის ინტერესს, მიიღოს ისეთი ინფორმაცია რაც მას გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს საშუალება გააანალიზოს კანდიდატთა ხედვები, მათი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ. ყველა თემის ურთიერთბრალდებების ჭრილში განხილვის ნაცვლად მედიამ უნდა შეძლოს პრობლემების კვალიფიციურად განხილვა; მაგალითად, მაყურებლისთვის ახსნა, თუ რა უფლებამოსილება აქვს პრეზიდენტს, პარლამენტს, ადგილობრივ თვითმმართველობას, რამდენად კარგად ესმით კანდიდატებს საკუთარი მანდატი. ამ ფუნქციას კი ვერ შეასრულებს მედია მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკის და ურთიერთბრალდებების ჭრილში საკითხების განხილვით.

ამ პოლარიზებულ გარემოში შედარებით დაბალანსებულად და მიუკერძოებლად გამოიყურებოდა „ტვ პირველი“ და აჭარის ტელევიზია. ტვ პირველი ცდილობდა მიუკერძოებელი სარედაქციო პოლიტიკა წარემართა. 2016 წლიდან არხი ნელ-ნელა პროგრესირებდა და ცდილობდა საარჩევნო სუბიექტების თანაბრად გაშუქებას. სამი წლის განმავლობაში არ იგრძნობოდა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ დადებითი ანდა უარყოფითი განწყობა, არხი არ ერიდებოდა მმართველი ძალის მიმართ კრიტიკული შინაარსის მასალების ეთერში გაშვებას. თუმცა, არჩევნების გაშუქებისას ნაკლები იყო ამომრჩევლის მრავალმხრივი ინფორმირებისკენ მიმართული სიღრმისეული სიუჟეტები.

არხი ვერ ქმნიდა საკუთარ დღის წესრიგს, უჭირდა ახალი თემების წამოწევა, სხვადასხვა სიღრმისეული მოკვლევითი მასალების მომზადება და, უმეტესად, სხვათა დღის წესრიგს მიჰყვებოდა. „ტვ პირველი“ ვერ ახერხებდა ძლიერი კონკურენციის გაწევას „რუსთავი 2“-სა და „იმედისთვის“ და, შესაბამისად, უჭირდა ამ პოლარიზებულ გარემოში დაბალანსებული, მიუკერძოებელი მაუწყებლის სივრცის სრულად დაკავება. შედარებით ძლიერად გამოიყურებოდა „ტვ პირველის“ ტოქშოუები, რომლებიც ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა ეთერში. არხი ახერხებდა ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლის სტუდიაში მოყვანას და მწვავე კითხვების დასმას.



აქვე აღსანიშნავია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, რომელიც თბილისში ბაზირებული საზოგადოებრივი მაუწყებლისგან განსხვავებით ამ სამი წლის განმავლობაში პროგრესს აჩვენებდა. არხი მიუკერძოებლად აშუქებდა პოლიტიკურ ძალებს, თუმცა, მოუგვარებელ პრობლემად დარჩა ამბების ზედაპირულად გაშუქება.

სამწლიანი მონიტორინგის დროს, წინასაარჩევნო პერიოდში, ერთადერთხელ, პრაქტიკულად დაიხურა ტელეარხი. როგორც წესი, მედიაბაზარზე ამგვარი ცვლილებები არჩევნების დასრულებას მოსდევდა, თუმცა ტელეკომპანიამ „იბერია“ 2018 წელს არჩევნებამდე ორი კვირით ადრე შეაჩერა გადაცემები. მანამდეც, მთელი ერთი თვის განმავლობაში როგორც საინფორმაციო გამოშვების, ისე ტოქშოუების მთავარი თემა „იბერიას“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები იყო[12]. „იბერია“ მთლიანად ჩაერთო არხის მეპატრონის ოჯახსა და სახელმწიფოს შორის არსებულ ბიზნეს დავაში. ჟურნალისტები თავად იყვნენ პროცესის მონაწილენი და მათი პროდუქტის პროფესიული სტანდარტით შეფასება რთული იყო. „იბერია“ იყო მხარე, დაინტერესებული პირი და დამფუძნებლისა და სახელმწიფოს დავას, უმრავლეს შემთხვევაში, აშუქებდა მიკერძოებულად, დაუბალანსებლად და არაეთიკურად. „იბერია“ ნაკლებ დროს უთმობდა ქვეყანაში მიმდინარე სხვა ამბებს.

[12] 7 სექტემბერს ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ ტელეკომპანიაზე ზეწოლა ხორციელდება დამფინანსებელი კომპანიისთვის ხელისუფლების მიერ პრობლემების შექმნის გზით. მოგვიანებით დაიწყო დამფუძნებელსა და ყოფილ მაღალჩინოსნებს შორის ფარული სატელეფონო საუბრების ჩანაწერების გამოქვეყნება, რამაც საზოგადოებაში ე.წ. ელიტური კორუფციის არსებობის შესახებ გააჩინა ეჭვები.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ არხის დამფუძნებლის, ზაზა ოქუაშვილის ფარული ჩანაწერებიც სხვა არხის, „რუსთავი 2“-ის მიერ გასაჯაროვდა. ამავე არხმა გაავრცელა ინტერვიუ ოქუაშვილთან, სადაც მან მნიშვნელოვანი ბრალდებები გააჟღერა ხელისუფლების მიმართ. საკუთარი არხის დამფუძნებლების შესახებ ამ ექსკლუზიური ინფორმაციის გავრცელება „იბერიას“ „რუსთავი 2“-ზე დაყრდნობით მოუწია. არჩევნებამდე ამუშავდა ტელეკომპანიის მფლობელთა ქარხანა[13]. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური კრიზისის და „იბერიას“ დახურვის მთავარ მიზეზად სწორედ ამ ქარხნის გაჩერება იყო დასახელებული, მისი ამუშავების შემდეგ მაუწყებლის ეკრანზე მხოლოდ წარწერა შეიცვალა და ფრაზის „ხელისუფლებამ დახურა იბერია“ ნაცვლად გაჩნდა მითითება „არხის რეორგანიზაცია“.

მეორე ტური

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 50 მაჟორიტარულ ოლქში დაინიშნა მეორე ტური. პირველი ტურის შემდეგ მეორე ტურამდე მაუწყებლებმა საარჩევნო ფორმატი შეინარჩუნეს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში თავად კანდიდატებმა თქვეს უარი გადაცემაში მონაწილეობაზე. მაგალითად, ტოქშოუში მონაწილეობა არ მიიღეს „ქართული ოცნების“ წევრებმა აჭარაში, არ მივიდნენ არც აჭარის ტელევიზიის და არც „25-ე არხის“ ეთერში, რის გამოც დებატები ვერ შედგა და გადაცემებში მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საუბრობდნენ[14]. „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალური მოძრაობას“ არც საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში პირველი ტურის წინ პარტიის პირველ ნომრებს შორის გამართულ დებატებში მიუღიათ მონაწილეობა.

2017 წელს მხოლოდ 7 ოლქში გაიმართა მეორე ტური, შესაბამისად ნაკლები იყო მედიის ინტერესი. მაუწყებლები ძირითად აქცენტს აკეთებდნენ არჩევნების პირველ ტურზე. მისი დასრულების შემდეგ აფასებდნენ არჩევნების შედეგებს, მეორე ტურს და მასში მონაწილე კანდიდატებს ტოქშოუების ყურადღება თითქმის არ დათმობია. მეორე ტურში მონაწილე კანდიდატებს შორის დისკუსია არ გამართულა არც იმ რეგიონულ არხებზე, სადაც მეორე ტურის კანდიდატებს შორის დიდი კონკურენცია იყო, მაგალითად ოზურგეთში. ადგილობრივი „გურია ტვ-ს“ ტოქშოუ პირველიდან მეორე ტურამდე მხოლოდ ერთხელ გავიდა ეთერში და მაშინაც საკრებულოს წევრები სტუმრობდნენ. ერთადერთი არხი, რომელმაც მეორე ტურს დიდი დრო დაუთმო საკუთარ ტოქშოუებში იყო „ობიექტივი“, რადგან სწორედ ამ პარტიის წარმომადგენელი გავიდა მეორე ტურში ბორჯომში და ამით იყო გამოწვეული „ობიექტივის” ინტერესიც. ამასთან, გადაცემა გამოყენებული იყო „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ აქციებში მონაწილეობისთვის ხალხის მობილიზების მიზნით.

---

[13] „ომეგას“ თამბაქოს ქარხანამ მუშაობა განაახლა. Liebrali.ge http://liberali.ge/news/view/40464/omegas-tambaqos-qarkhanam-mushaoba-ganaakhla

[14] 2016 წლის საპარლამენტო მონიტორინგის შედეგები. გვ 32. http://mediamonitor.ge/files/MM%20Final%20Report%20(Geo).pdf

სრულიად განსხვავებული ვითარება იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის გაშუქებისას. პირველი ტურის დასრულების შემდეგ ორ კანდიდატს, სალომე ზურაბიშვილს და გრიგოლ ვაშაძეს ხმათა თითქმის თანაბარი რაოდენობა ჰქონდა. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა შეიძინა მათმა გაშუქებამ. მაუწყებელთა პოლარიზაცია უფრო გაძლიერდა. აშკარად შესამჩნევი გახდა პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქების ტონის ცვლილება ზოგიერთ არხზე. მაგალითად, მკვეთრად გაიზარდა (56%-დან 89%-მდე) სალომე ზურაბიშვილის უარყოფითი გაშუქება „რუსთავი 2"-ზე. საინტერესოა მეორე ტურში გადასული საპრეზიდენტო კანდიდატების პირდაპირი და ირიბი გაშუქების მაჩვენებელიც. ეს ინდიკატორი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, არხი ტრიბუნას უთმობს კონკრეტულ კანდიდატს, თუ მასზე სხვები საუბრობენ. სალომე ზურაბიშვილი მისთვის დათმობილი დროის ნახევარზე მეტხანს თავად საუბრობდა (პირდაპირი გაშუქება) „ობიექტივსა" (57%) და „იმედზე"(56%), ყველაზე ნაკლებად კი – „რუსთავი 2"-ზე (13%). გრიგოლ ვაშაძეს პირდაპირი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (68%) „რუსთავი 2"-ზე ჰქონდა, ყველაზე დაბალი (8%) კი „ობიექტივზე."





არჩევნების პირველი ტურის დასრულებიდან ორი დღის შემდეგ იმედი „საგანგებო მუშაობის" რეჟიმზე ოფიციალურად გადავიდა[15]. არხის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნეს - "წინასაარჩევნო პერიოდი განსაკუთრებულად მძიმე იქნება მეორე ტურის წინ, რადგან არჩევანის ერთ მხარეს „ნაციონალური მოძრაობა" აღმოჩნდა. ტელეკომპანია „იმედმა" და მისმა მფლობელებმა საკუთარ თავზე იწვნიეს რას ნიშნავს ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა". ამიტომ „იმედი" წინასაარჩევნოდ ცვლის საეთერო ბადეს და ჩვენ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ არ დაბრუნდეს რეჟიმი." „იმედის" საგანგებო მდგომარეობაზე გადასვლა ტოქშოუების რაოდენობის გაზრდასა და საინფორმაციო გამოშვებაში „ნაციონალური მოძრაობის" უარყოფითად გაშუქების მატებაში გამოიხატა. გაიზარდა მანიპულაციური და ეთიკური სტანდარტების დარღვევით მომზადებული სიუჟეტების რაოდენობა. „რუსთავი 2"-ს არ განუცხადებია საგანგებო მდგომარეობის

[15] იმედი მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის, imedinews.ge
https://imedinews.ge/ge/saqartvelo/83392/imedi-mushaobis-sagangebo-rejimze-gadadis

შესახებ, თუმცა, მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული სიმძაფრით აკრიტიკებდა სალომე ზურაბიშვილს და „ქართულ ოცნებას.“

ორივე არხმა დაივიწყა ეთიკური პრინციპების უმრავლესობა და ჟურნალისტიკა მეტწილად პროპაგანდით ჩაანაცვლა. ჟურნალისტები ღიად, საკუთარი მიკერძოებული ტექსტებით, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი ციტატებით აკრიტიკებდნენ სამიზნეში ამოღებულ სუბიექტებს.

ცვლილება განიცადა საზოგადოებრივი მაუწყებლის ბადემაც. მეორე ტურამდე ეთერიდან გაქრა პირველი ტურის წინ შექმნილი გადაცემა „დღის თემა“, ასევე „კვირის ინტერვიუ“ და „აქტუალური თემა“. მის ნაცვლად ეთერში გადიოდა ტოქშოუს ფორმატის გადაცემა „არჩევნები 2018“, რომელიც უმეტესად ხელისუფლების ნარატივს ატარებდა. მაგალითად, არ ინტერესდებოდნენ მმართველი პარტიის შეცდომებით. წამყვანები წლების წინანდელ კოჰაბიტაციას განიხილავდნენ. ამ საკითხზე დისკუსია ჯერ კალაძემ დაიწყო „იმედზე“, შემდეგ კი იგივე ნარატივი მმართველი პარტიის სხვა წარმომადგენლებმა განავრცეს. გადაცემას უმეტესად ლაიტმოტივად გასდევდა ის, რომ მოძალადე ხელისუფლება არ უნდა დაბრუნდეს. სტუმრებიც და წამყვანებიც ამ გზავნილს იმეორებდნენ. მეორე ტურის წინ მომრავლდა სიუჟეტები „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პერიოდზე, იმდროინდელი მაღალჩინოსნების დანაშაულებებზე. კიდევ უფრო შემცირდა ისეთი თემების წამოწევა, სადაც დღევანდელი ხელისუფლება უარყოფითად შეიძლებოდა წარმოჩენილიყო. ტელესივრცე ფაქტობრივად ორპოლუსიანი გახდა, სადაც „რუსთავი 2“ ერთ მხარეს, „იმედი“, „ობიექტივი“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი კი მეორე მხარეს აღმოჩნდნენ. „რუსთავი 2“-ზე ძირითადად განიხილავდნენ იმას, თუ რატომ იქნება ცუდი სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება, „ობიექტივი“, „იმედი“ და საზოგადოებრივიმაუწყებელი კი გრიგოლ ვაშაძის გამარჯვებას „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც მოძალადე ძალის ხელისუფლებაში დაბრუნების შესაძლებლობად წარმოაჩენდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მეორე ტურის წინ „ნაციონალური მოძრაობის“ და „ძალა ერთობაშიას“ კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგ კამპანიაში აქტიურად ჩაერთო ტელეკომპანია „ობიექტივიც,“ ვინაიდან „პატრიოტთა ალიანსმა“ გადაწყვიტა მხარი დაეჭირა სალომე ზურაბიშვილისათვის და ებრძოლა ვაშაძის წინააღმდეგ. პირველი ტურისგან განსხვავებით მეორე ტურამდე გადაცემაში ხშირად მონაწილეობდნენ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავი.

საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის დებატები მეორე ტურის წინ არ გამართულა. არხების შეთავაზების მიუხედავად კანდიდატები პირისპირ დისკუსიას არ დათანხმდნენ









დებატები

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონით, ყველა საერთო მაუწყებელი ვალდებულია წინასაარჩევნო პერიოდში ეთერში გადასცეს დებატები კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობით. ამ ვალდებულების შესრულებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მაუწყებლები სწორედ კანონის დაცვისთვის აორგანიზებდნენ საარჩევნო დებატებს, რომელშიც პასუხებისთვის დრო მკაცრად განსაზღვრული იყო. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ სამი წლის განმავლობაში გამართული ასეთი დებატები რეალურად დამატებით ინფორმაციას არ აძლევდა მაყურებელს. წამყვანთა მიერ დასმული კითხვები იყო ძალიან ზოგადი, ნაკლებად გამომდინარეობდა კანდიდატთა საარჩევნო პროგრამიდან. კანდიდატები პრაქტიკულად იმეორებდნენ იმას, რასაც დებატებამდე სხვა გადაცემებსა თუ საჯარო გამოსვლებში ამბობდნენ.

მონიტორინგის სამივე წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყო საარჩევნო სუბიექტების დებატები, სადაც კანდიდატს თითოეულ კითხვაზე საპასუხოდ მკაცრად გამოყოფილი დრო ჰქონდა. სამივე შემთხვევაში წამყვანი იყო მხოლოდ არბიტრი, რომელიც წინასწარ გაწერილ კითხვებსა და დროის დაცვაზე უფრო იყო ორიენტირებული, ვიდრე რეალურ დებატებზე. 2016 წელს ამგვარ ფორმატში გადიოდა გადაცემა „რეალური სივრცე“, 2017 წელს კი შექმნეს ცალკე გადაცემა „თვითმმართველობა 2017“. გადაცემა იმ ქალაქებში ჩავიდა, სადაც მერებს ირჩევნდნენ და ღია ცის ქვეშ გამართა დებატები. შეკითხვები თითქმის იდენტური იყო ყველა ქალაქში და უკავშირდებოდა მუნიციპალური ტრანსპორტის, წყალმომარაგების, განაშენიანების პრობლემას. ამ ზოგადი საკითხების გარდა მუნიციპალიტეტების მიხედვით მაინც არსებობს მისთვის დამახასიათებელი პრობლემები. მაგალითად, ზუგდიდში აზიური ფაროსანას პრობლემა; ქუთაისში - მისი ფუქნციონალური დატვირთვის მნიშვნელობა - საპარლამენტო, საუნივერსიტეტო ქალაქი, თუ საერთაშორისო აეროპორტზე მიბმული ტურისტული ცენტრი და ა.შ. ადგილობრივი სპეციფიკა არ ყოფილა გათვალისწინებული გადაცემებში დასმული კითხვებისას.

სტუმრებს ერთმანეთისთვისაც არ შეეძლოთ კითხვების დასმა. შედეგად, კანდიდატები სასურველ მოსაზრებებს ავრცელებდნენ, ჰპირდებოდნენ საზოგადოებას პრობლემების მოგვარებას, თუმცა, რამდენად რეალური იყო მათი დაპირება, ჩაკითხვების არარსებობის გამო, გაურკვეველი რჩებოდა. 2017 წლის დებატები გამოირჩეოდა იმით, რომ გადაცემის სტუდიის ღია ცის ქვეშ მოწყობის გამო მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, დამატებითი პრობლემები იქმნებოდა. მაგალითად, ძლიერ ქარში მოუხდათ ქუთაისის მერობის კანდიდატებსა და ჟურნალისტს რამდენიმესაათიანი საუბრის წარმართვა. ეს იწვევდა ტექნიკურ პრობლემასაც – წყდებოდა ხმა, ყანყალებდა კადრი და ა.შ

2017 წელს შინაარსობრივი თვალსაზრისით საზოგადოებრივი მაუწყებლის მსგავსად წარიმართა თბილისის მერობის კანდიდატებთან საუბარი „რუსთავი 2-ისა“ და „იმედის“ ტოქშოუებშიც. საერთო ჯამში სამივე არხზე ამ კანდიდატებს ერთი და იმავეს გამეორება მოუწიათ, რადგან წამყვანებისგან პრაქტიკულად არ დასმულა კრიტიკული, არგუმენტირებული ანდა კანდიდატების საარჩევნო პროგრამებზე დაფუძნებული კითხვები. ისინი სხვადასხვა თემაზე სთხოვდნენ კანდიდატებს ხედვის წარმოდგენას, რაც მანამდეც არაერთხელ გაუმეორებიათ როგორც გადაცემებში, ასევე სარეკლამო რგოლებში. ტელეკომპანია „იმედმა“ დებატებში თბილისის მერობის კანდიდატებიდან არ მიიწვია „შენების მოძრაობისა“ და „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატები. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატი არ დაპატიჟეს „ტელეიმედის“ მიმართ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები ხშირად არიან პოლიტიკოსების კრიტიკის ობიექტები, მაგრამ ეს გავლენას არ უნდა ახდენდეს რესპონდენტების შერჩევის პროცესზე, მითუმეტეს წინასაარჩევნო პერიოდში.

2018 წელს საპრეზიდენტო კანდიდატების დებატები მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებლის პირველ არხსა და აჭარის ტელევიზიის ეთერში გადაიცა. თუმცა, მხოლოდ ერთხელ, პირველი არხის ეთერში მოხერხდა მთავარი კანდიდატების, სალომე ზურაბიშვილის, გრიგოლ ვაშაძის და დავით ბაქრაძის დებატების ორგანიზება.

მიუხედავად ამისა, მაუწყებელმა ვერ მოახერხა კანდიდატებისთვის ისეთი კითხვების დასმა და მათ შორის ისეთი დებატების გამართვა, რაც აუდიტორიას დამატებით ინფორმაციას მიაწვდიდა. ჟურნალისტი ამ გადაცემაშიც შემოიფარგლებოდა ძირითადად მხოლოდ მოდერატორის როლით, რომელიც ანაწილებდა დროს სტუმრებს შორის. ყველაზე მწვავე და აქტუალური შეკითხვები დასვეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მიმართ, თუმცა, იმის გამო, რომ ზურაბიშვილმა ოპონენტებს კითხვები არ დაუსვა, მწვავე შეკითხვების გარეშე დარჩნენ ოპოზიციის წარმომადგენლები. ამან მთლიანობაში დააზარალა მაყურებელი, რომელსაც უნდა მიეღო ამ დებატების შედეგად კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

უფრო მეტიც, წამყვანმა გრიგოლ ვაშაძესთან შეკითხვის დასმისას დაუშვა უზუსტობა, როდესაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი მის მხარდამჭერად მოიხსენია. ვაშაძემ სთხოვა დაესაბუთებინა, თუ რატომ მიიჩნევდა გვარამიას მის მხარდამჭერად. მიუხედავად იმისა, რომ კითხვები წინასწარ მომზადებული იყო, წამყვანმა ვერ მოახერხა შესაბამისი არგუმენტაციის წარდგენა. ამას მოჰყვა ნიკა გვარამიას მხრიდან გიორგი გვიმრაძის წინააღმდეგ ქარტიაში განცხადების შეტანა. ქარტიის საბჭომ სიზუსტის (პირველი) და შესწორების (მეხუთე) პრინციპების დარღვევა დაადგინა[16].

წინასაარჩევნო გარემოს და საარჩევნო პროგრამების გაშუქება

წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მთავარი ამოცანაა საზოგადოებისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რაც მათ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საარჩევნო სუბიექტების აქტივობების გაშუქება. „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში მაუწყებელმა უნდა გააშუქოს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების პროგრამები და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მიმდინარე მოვლენების და პოლიტიკური პარტიების ან მათი კანდიდატების განცხადებების გაშუქებით. ტელევიზიებზე სამ წინასაარჩევნო პერიოდზე დაკვირვება აჩვენებს, რომ საარჩევნო თემატიკა უმთავრესად შუქდებოდა ყრილობის თუ კანდიდატების წარდგენის პირდაპირ ეთერში ჩართვით და კანდიდატთა აქტივობების, მოსახლეობასთან შეხვედრის შესახებ ფრაგმენტული, უმეტესად კადრ-სინქრონის ფორმატში მომზადებული მასალებით .

2016 წელს რამდენიმე არხი საინფორმაციო გამოშვებაში ქმნიდა სპეციალურ რუბრიკებს, სადაც თანაბარი ქრონომეტრაჟით აშუქებს კანდიდატთა აქტივობებს. ამგვარ რუბრიკებში თანამედროვე სტანდარტისთვის შეუსაბამო ვრცელი სიუჟეტები გადაიცემოდა, ინფორმაცია სუბიექტების საქმიანობის შესახებ ხშირად მექანიკურად, ყოველგვარი საერთო ხაზის გარეშე იყო გაერთიანებული, რაც გადაცემას მაყურებლისთვის უინტერესოს ხდიდა. სუბიექტებისთვის დათმობილი დროის მათემატიკური სიზუსტით გადანაწილება

[16] გადაწყვეტილება საქმეზე - ნიკა გვარამია გიორგი გვიმრაძის წინააღმდეგ , საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია http://qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/62617-gadatsyvetileba-saqmeze-nika-gvaramia-giorgi-gvimradzis-tsinaaghmdeg

კი ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ეს რუბრიკა მედიამონიტორინგისას თანაბარი გაშუქების მისაღწევად კეთდებოდა და ამომრჩევლის ინტერესზე ნაკლებად იყო მორგებული.

2017 წლის წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო აქტივობების ასეთი ცალკე ფორმალური რუბრიკა აღარ არსებობდა, თუმცა, შინაარსის თვალსაზრისით კანდიდატთა პროგრამების სიღრმისეული გაშუქება არ გაზრდილა.

ასეთივე ტენდენცია გაგრძელდა 2018 წელსაც. მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰქონდა 10 წუთიანი რუბრიკა, სადაც საპრეზიდენტო კანდიდატებს რთავდა. ზოგადად, 2017 წელთან შედარებით, კანდიდატთა აქტივობები, საარჩევნო პროგრამები განხილვის თემა თითქმის არ ყოფილა მაუწყებელთა საინფორმაციო გამოშვებაში. მის ნაცვლად ძირითადი განსახილველი საკითხები ფარული ჩანაწერები თუ სხვა მიმდინარე ამბები იყო. ამ თემაზე საუბრისას „რუსთავი 2“ ჩანაწერებს უტყუარად მიიჩნევდა და მის შინაარსზე აკეთებდა აქცენტს, „იმედი“ და პირველი არხი კი იმაზე მსჯელობდნენ, თუ ვინ გაავრცელა ჩანაწერები, რაც უფრო ახლოს იყო ხელისუფლების რიტორიკასთან.

პირველი ტურის დასრულების შემდეგ კი მეორე ტურამდე საარჩევნო პროგრამების თუ ხედვების ნაცვლად მთავარი განსახილველი თემა იყო რომელი კანდიდატი უფრო მეტად ახლოს არის რუსეთთან. „რუსთავი 2“ ცდილობდა ეჩვენებინა, რომ სალომე ზურაბიშვილია მოღალატე, „იმედი“ კი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ გრიგოლ ვაშაძე თანამშრომლობს რუსეთთან.

საინფორმაციო გამოშვებებისგან განსხვავებით ტოქშოუებში უფრო მეტი დრო და შესაბამისი ფორმატია წინასაარჩევნო გარემოს, საარჩევნო დაპირებების, პროგრამების გასაანალიზებლად. თუმცა სიღრმისეული ანალიზისთვის მაუწყებლებს არც ეს გადაცემები გამოუყენებიათ. აქაც უმეტესად სადისკუსიო თემა მიმდინარე ამბები და პოლიტიკოსთა ურთიერთბრალდებები იყო.

თუკი სამონიტორინგო სამი წლის წინასაარჩევნო პერიოდებს შევადარებთ, ეროვნული მაუწყებლების ეთერში ყველაზე მეტი რაოდენობის ისეთი სადისკუსიო გადაცემები, რომლებშიც ცდილობდნენ აუდიტორიისთვის გაეცნოთ საარჩევნო სუბიექტების ხედვები, 2016 წელს გადიოდა ეთერში. მაგალითად, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემა „ინტერვიუ“, სადაც წამყვანს შესწავლილი ჰქონდა პოლიტიკური პარტიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქმედება და გაკეთებული განცხადებები, რასაც საჭიროებისამებრ კონტრარგუმენტად იშველიებდა კიდეც. ცდილობდა აუდიტორიისთვის ეჩვენებინა, თუ ვინ აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას.

„რუსთავი 2-ის“ ეთერში „არჩევანი 2016: გადიოდა, სადაც პირველ ბლოკში საშუალებას აძლევდნენ საარჩევნო სუბიექტებს საკუთარი ხედვების შესახებ ზოგადი კითხვების საპასუხოდ ესაუბრათ. შემდეგ ბლოკებში მათ ჟურნალისტები უსვამდნენ კრიტიკულ კითხვებს, ბოლო ბლოკში კი იმართებოდა თემატური დებატები. ვინაიდან გადაცემა ახერხებდა პარტიების ლიდერების მოყვანას, ეს ნაწილი იყო ყველაზე საინტერესო. მაყურებელი იღებდა მნიშვნელოვან ინფორმაციას განხილულ სფეროში არსებული

გამოწვევების შესახებ და საშუალება ჰქონდა შეედარებინა ერთმანეთისთვის პარტიების პოზიციები და პრობლემების გადაწყვეტის გზები.

ამომრჩევლისთვის სასარგებლო დისკუსია იმართებოდა რეგიონულ მაუწყებელშიც. „ტვ 25-ის“ გადაცემა „დიალოგის“ წამყვანი კარგად იყო მომზადებული და მოწვეულ საარჩევნო სუბიექტებთან დისკუსიას მართავდა ისე, რომ ამომრჩეველს კანდიდატთა ხედვების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა.

სხვა არხებზე კრიტიკას იმსახურებდა წამყვანთა მომზადების დონე, გადაცემის დაგეგმვა, ფორმატები, თუმცა საერთო ჯამში, არხები ცდილობდნენ სტუდიაში კანდიდატების მიწვევას და მათი მოსაზრებების წარმოჩენას.

მომდევნო წელს, 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე, არხების ეთერში საარჩევნო თემატიკაზე ლიდერებს შორის დისკუსია აღარ გამართულა. როგორც ნაციონალურმა, ისე რეგიონულმა არხებმა მკაცრად სტრუქტურირებული ტოქშოუები შესთავაზეს აუდიტორიას, სადაც, ძირითადად, ერთსა და იმავე ზოგად კითხვაზე უწევდა პასუხი ყველა კანდიდატს. ამგვარ გადაცემაში მკვეთრი აქცენტი კეთდებოდა ფორმაზე და არა შინაარსზე. წამყვანის როლი იყო პასიური, ის მხოლოდ საუბრის მიმართულებას აძლევდა კანდიდატებს, შემხვედრ კითხვებს კი მაშინაც არ სვამდა, როდესაც რესპონდენტები სხვა თემაზე იწყებდნენ საუბარს. შედეგად, მაყურებელი ისმენდა მხოლოდ კანდიდატების მონოლოგებსა და დაპირებებს, რომელთაც მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა არხზე იმეორებდნენ.

ზოგიერთმა არხმა (მაგ. „ტვ პირველი,“ „იმედი“) საარჩევნო სუბიექტების პრეზენტაცია გამართა, სადაც ისინი წარადგენდნენ საკუთარ ხედვებს და საარჩევნო პროგრამას.

2018 წელს კი საინფორმაციო გამოშვებების მსგავსად საარჩევნო თემატიკა უკანა ფლანგზე გადავიდა ტოქშოუებშიც. საპრეზიდენტო კანდიდატებს თუ მათ მხარდამჭერებს ეთერში უმრავლეს შემთხვევაში მიმდინარე თემაზე უწევდათ საუბარი და არა საარჩევნო პროგრამებსა თუ სხვადასხვა საკითხზე თავიანთ ხედვებზე. შესაბამისად, მათ შორის არათუ საგნობრივი სიღრმისეული დისკუსია, მათი პრეზენტაციაც კი არ გამართულა, სადაც სხვადასხვა თემაზე საკუთარ ხედვებს წარადგენდნენ. გამონაკლისი იყო მხოლოდ „ტვ პირველი“, რომელმაც მხოლოდ 4 საპრეზიდენტო კანდიდატის პრეზენტაცია გამართა. ამ გადაცემაში ისინი თავის გუნდთან ერთად იყვნენ მისულნი და საუბრობდნენ იმაზე, თუ რატომ უნდა დაეჭირა მხარი მათთვის მოსახლეობას. საარჩევნო პროგრამების თუ ხედვების ნაცვლად სადისკუსიო თემა იყო მიმდინარე ამბები. საპრეზიდენტო კანდიდატებიც ტოქშოუებში მხოლოდ ამ თემების ჭრილში ჩნდებოდნენ. მეორე ტურის წინ კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკუსიის მთავარი თემა იყო ვინ უფრო მეტად მოღალატეა - სალომე ზურაბიშვილი თუ გრიგოლ ვაშაძე, რომელი უფრო ცუდი ხელისუფლება იყო - ახლანდელი თუ „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელი. 2018 წლის მეორე ტურის გამართვამდე მხოლოდ გრიგოლ ვაშაძის პრეზენტაცია (კრიტიკული კითხვების გარეშე) შესთავაზა მაყურებელს “რუსთავი 2“-მა. როგორც წამყვანმა თქვა, სალომე ზურაბიშვილმა უარი თქვა გადაცემაში მონაწილეობაზე.

ზოგადად, ტოქშოუების დიდი ნაწილი მხოლოდ ურთიერთბრალდებების რეჟიმში მიმდინარეობდა, რაც პოლიტიკოსებს სრულ თავისუფლებას აძლევდა დისკუსია სასურველი მიმართულებით წაეყვანათ. შესაბამისად, ამომრჩევლის ინტერესი - მიეღო მეტი ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების ხედვების, პროგრამების შესახებ, დაკმაყოფილებული არ ყოფილა. ამასთან საზოგადოებას არ მოუსმენია ანალიზი თუ რამდენად შესრულებადია კანდიდატის მიერ გაცემული დაპირება ანდა რამდენად რეალურად მოაგვარებს პრობლემას კანდიდატის მიერ დასახული გზა, რამდენად ესმით მათ კარგად საკუთარი უფლებამოსილებები და რამდენად გააზრებული აქვთ ის პასუხისმგებლობა და ვალდებულება რასაც იღებენ.

შესაძლოა მედიის მიერ საარჩევნო თემატიკასა და კანდიდატების პროგრამებზე ნაკლები ფოკუსირების ერთ-ერთი მიზეზი თავად საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმართული კამპანიაა, ვინაიდან ხშირად თავად კანდიდატებს არ აქვთ საარჩევნო პროგრამა გაწერილი, თუმცა, თუკი მედია მათ მოსთხოვს უფრო სიღრმისეულ დისკუსიას, გაანალიზებს მათ ხედვებს, კანდიდატებიც უფრო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ და უკეთ მოემზადებიან.

სიღრმისეული მასალების ნაკლებობა

სიღრმისეული მასალების ნაკლებობა ქართული ტელემედიისთვის მოუგვარებელი პრობლემაა. ისინი მიმდინარე ამბებს ფრაგმენტულად აშუქებენ, მისდევენ უმეტესად პოლიტიკოსების მიერ შემოთავაზებულ დღის წესრიგს, სიუჟეტები ძირითადად მათ განცხადებებსა და შეფასებებზეა აგებული. ხშირ შემთხვევაში პრობლემაა ამბის თხრობის ტექნიკაც, რადგან ამბავი ისეა გადმოცემული, მაყურებელს გაუჭირდება მისი არსის გაგება. გამონაკლისია „რუსთავი 2“, რომელიც ყოველთვის ცდილობს მოიძიოს ექსკლუზიური ინფორმაცია, ადამიანის უფლებების დარღვევის, კორუფციის თუ სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების კონკრეტული ფაქტები და თავად შექმნას დღის წესრიგი.

ეს ტენდენცია სამი წლის მანძილზე უცვლელი იყო.

2017 წლის მონიტორინგის მიწურულს დაემთხვა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ მთავარი გამოშვების ეთერში გასვლის დროის და ფორმატის ცვლილება. ახალი ფორმატით შემცირდა თითოეული ამბისთვის დათმობილი დრო, ძირითადად ე.წ. „კადრ სინქრონებით“ შუქდებოდა დღის მნიშვნელოვანი თემები, რაც მთავარი გამოშვებისთვის ცოტა შეუსაბამოა. მაყურებელი ელის მნიშვნელოვანი ამბის ამომწურავ, მრავალმხრივ გაშუქებას, რისი გადმოცემაც ხშირად 30-50 წამიან კადრ სინქრონით შეუძლებელია. ეს ტენდენცია გაგრძელდა 2018 წელსაც.

სიღრმისეული მასალების გაშუქების პრობლემა განსაკუთრებით აქვს „ტვ პირველს“, რომელიც ცდილობს დაფაროს ყველა თემა, თუმცა უმეტესად აქვთ „კადრ სინქრონების” ფორმატი და ვერ ახერხებენ თემების დამოუკიდებლად მოძიებას და წინ წამოწევას. შეიძლება მაყურებელს შესთავაზონ პროცესში მონაწილე ყველა მხარე, თუმცა ამბის არსი

მაინც გაუგებარი დარჩეს. სიუჟეტებს აკლია სიღრმე, ამბის დეტალურად თხრობა, რაც მაყურებელს აზიანებს.

ასევე მოუგვარებელია ეს პრობლემა აჭარის ტელევიზიაშიც. სიუჟეტები ხშირად არის აგებული მხოლოდ მხარეების ურთიერთბრალდებებზე და არ ჩანს ჟურნალისტის სათანადო მცდელობა მაყურებელს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია. ხშირია შემთხვევა, როცა ოპოზიციის წარმომადგენელი ხელისუფლებას სერიოზულ ბრალდებას უყენებს, თემა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა, ხშირად ჟურნალისტები ამ თემას არ სწავლობენ, არ ჩადიან სიღრმეში და მაყურებელს არ აწვდიან ამომწურავ ინფორმაციას.

ზოგადად, საკითხები არამხოლოდ საინფორმაციო გადაცემაში, არამედ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ გადაცემებშიც ზედაპირულად განიხილება. სიღრმისეული დისკუსიის და განსხვავებული თემების ნაცვლად ტოქშოუები უმეტესად ურთიერთბრალდებების ფონზე მიმდინარეობს და სხვათა განცხადებები თუ ქმედებები განიხილება. ნაკლებად ცდილობენ საკითხის სხვა კუთხით წარმოჩენას. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სადისკუსიო გადაცემებში რესპონდენტებს უფრო ვრცლად ეძლეოდათ იმ თემაზე საუბრის საშუალება, რაზეც მცირე კომენტარი საინფორმაციო გამოშვებებში გააკეთეს. ეს უმთავრესად შესაძლოა გადაცემის დაგეგმვის პრობლემა იყოს. ზოგჯერ წამყვანები ისეთი ფაქტობრივი ინფორმაციის დასახელებას სთხოვდნენ რესპონდენტებს, რაც შემოქმედებით ჯგუფს გადაცემის დაწყებამდე უნდა ჰქონდეს მოძიებული. წამყვანის კითხვებიდან გამომდინარე ჩანდა, რომ წინასწარი მოკვლევა განსახილველ თემაზე რედაქციას არ გაუკეთებია. წამყვანი არ იყო მომზადებული ციტატებით, რესპონდენტის მიერ წარსულში გაკეთებული კომენტარებით, სხვადასხვა კვლევებით, ფაქტობრივი მონაცემებით, რათა საჭიროების შემთხვევაში არგუმენტირებული მწვავე ოპონირება გაეწია.

მაგალითად, 2018 წელს კანაფის კულტივირების შესახებ კანონპროექტი თითქმის არსად საფუძვლიანად არ განხილულა ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში. მთავარი აქცენტი გაკეთდა ეკლესიისა და მმართველი გუნდის დაპირისპირებაზე. უფრო მეტიც, ზოგიერთ გადაცემაში ჩანდა, რომ არც წამყვანს და არც სტუმრებს არ ესმოდათ რა განსხვავებაა სამედიცინო და პირადი მოხმარების მიზნით კანაფის კულტივირებას შორის.

წამყვანები მოუმზადებლობის გადაფარვას ცდილობდნენ იმით, რომ თავად რესპონდენტების ნათქვამიდან გამომდინარე უსვამენ შემდეგ სტუმარს კითხვას ასეთი ფორმულირებით - "თქვენ როგორ შეაფასებთ" ან "თქვენ რას იტყვით ამ შეფასებაზე?;" ან ცდილობდნენ სტუმრებს ოპონენტის მიერ გამოთქმულ ბრალდებაზე პასუხის შესაძლებლობა მიეცათ და ამგვარად აეწყოთ მთელი გადაცემა.

არარელევანტური სტუმრები, დისკუსიის მართვა

საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ტოქშოუებში, სადაც დაპირისპირებული მხარეები არიან მოწვეულნი, ზოგჯერ რთულია ცხარე კამათის მართვა. სამი წლის განმავლობაში არაერთი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ ვერ შეძლეს წამყვანებმა საჭირო მოდერაცია და კამათი

ჩხუბს, შეურაცხმყოფელ მიმართვებსა და მრავალხმაში საუბარში გადაიზარდა, რაც, საბოლოო ჯამში, მაყურებელს ინფორმაციის მიღებაში ხელს უშლიდა. გარდა იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დებატების დაბალი კულტურაა და ოპონენტებს ერთმანეთთან დისკუსია ფაქტების ნაცვლად ბრალდებების ფორმატში ურჩევნიათ, უმართავი დისკუსია სტუდიაში შესაძლოა გამოწვეული იყოს გადაცემის დაგეგმვისას დაშვებული ხარვეზებითაც.

გადაცემებზე სამწლიანი დაკვირვება აჩვენებს, რომ ასეთი უმართავი სიტუაცია მაშინ იქმნება, როდესაც:

- **გადაცემაში განსახილველი თემა არ არის კონკრეტული** - ასეთ დროს ოპონენტებს საშუალება ეძლევათ, ისაუბრონ ბევრ საკითხზე და ერთმანეთს შეახსენონ ყველა ბრალდება. წამყვანი არ ცდილობს კამათი ერთი კონკრეტული საკითხის გარშემო წარმართოს და პასიურ როლში ყოფნას ამჯობინებს.

- **არარელევანტური სტუმრები** - როდესაც გადაცემაში ისეთი პირები არიან მოწვეულნი, რომლებიც განსახილველ თემაზე დამატებით ინფორმაციას არ ფლობენ, მათი ყოფნა სტუდიაში მხოლოდ მწვავე დაპირისპირებას ისახავს მიზნად.

- **დაპირისპირებული რესპონდენტები** - ზოგჯერ სტუდიაში ხვდებიან ისეთი პირები, რომლებიც ერთმანეთთან ყოველთვის კონფრონტაციაში შედიან. თუკი თემის განსახილველად ორივეს ყოფნა აუცილებელია, მაშინ სჯობს ისინი ცალ - ცალკე მოიწვიონ სტუდიაში ანდა სხვა სტუდიიდან ჩართონ.

- **სტუმართა სიმრავლე** - სტუმართა დიდი რაოდენობა განსაკუთრებით სენსიტიურ თემაზე მსჯელობისას უფრო ართულებს წამყვანის ამოცანას სრულად აკონტროლოს დისკუსია. კიდევ უფრო რთულდება სიტუაცია, როდესაც გადაცემაში დარბაზიც მონაწილეობს. შესაბამისად, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სტუმართა რელევანტურობის კრიტერიუმით მოწვევა და გააზრება თუ რატომ იქნება ღირებული მათი მონაწილეობა, რას შესძენს ის გადაცემას და რა დამატებით ინფორმაციას თუ ანალიზსს მიაწვდის აუდიტორიას.

სამონიტორინგო პერიოდში უმართავი დისკუსია ძირთადად ტელეკომპანია „პირველის“ ტოქშოუებში იყო შესამჩნევი. 2016 წელს ფიზიკური დაპირისპირებაც მოხდა სტუმრებს შორის. მართალია, მას შემდეგ ასეთი რამ ეთერში აღარ მომხდარა, მაგრამ შეურაცხყოფა და უმართავი სიტუაცია სტუდიაში 2018 წელსაც არაერთხელ დაფიქსირდა. ასეთი რამდენიმე შემთხვევა იყო „იბერიას“ გადაცემებშიც. „იბერია“ მხოლოდ 2018 წელს მონიტორინგდებოდა და ამიტომაც ბევრი გადაცემა არ მოხვდა ანგარიშში.

სიძულვილის ენა

სამწლიანი მონიტორინგი აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი პროგრესია საინფორმაციო გამოშვებებში სიძულვილის ენის[17], შეუსაბამო ტერმინოლოგიის გამოყენების თვალსაზრისით.

2016 წელს რამდენიმე ტელევიზიის ეთერში რესპონდენტთა ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებები დაფიქსირდა. იყო შემთხვევები, როცა ამა თუ იმ არხზე რესპონდენტმა დისკრიმინაციული, სიძულვილის ენა და შეუსაბამო ტერმინოლოგია გამოიყენა, მსგავს შემთხვევებში ჟურნალისტს ორი არჩევანი აქვს: თუ დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის ავტორი კერძო პირია, არ გაავრცელოს მისი გამონათქვამები, ხოლო თუ საჯარო პირია, პოლიტიკოსია, შესაძლებელია მისი ციტატის მაყურებლისთვის ჩვენება. ოღონდ ჟურნალისტმა იქვე უნდა ახსნას, რომ ეს არის მიუღებელი, რომ რედაქცია ემიჯნება მსგავს ქმედებებს და ტირაჟირებას მხოლოდ იმიტომ ახდენს, რომ აჩვენოს როგორი მიუღებელი ენით საუბრობს საჯარო პირი. ჟურნალისტმა მაყურებელს უნდა განუმარტოს, რომ განცხადება არის ქსენოფობიური, ჰომოფობიური და დაუშვებელი. თანამედროვე ეთიკური სტანდარტები ჟურნალისტს ავალდებულებს გამოხატოს პოზიცია და გააკრიტიკოს არატოლერანტული, ქსენოფობიური განცხადება და მისი ავტორი.

2017 - 2018 წლის წინასაარჩევნო პერიოდში მსგავსი შემთხვევები თითქმის აღარ ყოფილა. 2018 წელს რამდენიმე არხმა მოამზადა კრიტიკული მასალები, როდესაც პოლიტიკოსმა სიძულვილის ენა გამოიყენა. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის დისკრიმინაციული გამონათქვამები გააკრიტიკეს „იმედმა“, „მაესტრომ“.

სიძულვილის ენის გამოყენების თვალსაზრისით ასეთი მკვეთრი პროგრესი არა, მაგრამ გაუმჯობესება შეინიშნება ტოქშოუებშიც, სადაც რესპონდენტები უფრო მეტად იყენებენ სიძულვილის ენას, პირდაპირი ეთერის გამო კი მისი რედაქტირება ვერ ხერხდება. 2016 წლისგან განსხვავებით 2017 წელს წამყვანები მკვეთრად ნეგატიურ პოზიციას აფიქსირებდნენ რესპონდენტების მიერ გამოყენებულ სიძულვილის ენაზე. 2018 წელს კი თითქმის აღარ გვხვდებოდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ჰომოფობიური და ქსენოფიბიური განცხადებებით ცნობილ პირებს იწვევდნენ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე სასაუბროდ. წამყვანის პასუხისმგებლობაა ისე შეარჩიოს სტუმრები, რომ საკუთარი გადაცემა არ აქციოს სიძულვილის ენის პლატფორმად. მისივე მოვალეობაა, მოწვევის შემთხვევაში, ოპონირება გაუწიოს იმ პირებს, რომლებიც სიძულვილის ენას იყენებენ და არ მისცეს ტრიბუნა სხვათა დისკრედიტაციისა და ფაქტობრივი უზუსტობების გავრცელებისთვის.

თუმცა, როგორც აღინიშნა, 2018 წელი გამორჩეული იყო ნეგატიური საარჩევნო კამპანიით და გაშუქებით, რასაც თან ახლდა არა იმდენად სიძულვილის ენა, არამედ

---

[17] სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით. *ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე* No.R(9)20,1997
http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/other_committees/dh-lgbt_docs/CM_Rec(97)20_en.pdf

შეურაცხმყოფელი ფრაზები, უხამსი ლექსიკა და გინებაც კი, მათ შორის, წამყვანის მხრიდანაც. ამ მხრივ გამორჩეული იყო „რუსთავი 2“-ის გადაცემა „კვირის აქცენტები“, რომლის ერთ-ერთი წამყვანი ნიკა გვარამია არ ერიდებოდა ამგვარი არანორმატიული ლექსიკის გამოყენებას.

ამასთან, ცალკე უნდა გამოიყოს ტელეკომპანია „ობიექტივი“. სიძულვილის ენას ამ გადაცემის ტოქშოუებში ტენდენციის სახე აქვს. თურქები, ირანელები, არაბები, ინდოელები წარმოჩენილნი არიან ქართველებისთვის საფრთხედ. თურქეთი დამპყრობლად არის ნაჩვენები რუსეთის ოკუპაციის საპირწონედ, რის გასამყარებლადაც წამყვანები და რესპონდენტები ისტორიულ მოვლენებს იყენებენ. ამგვარი მიდგომით გადაცემა აჩვენებს, რომ მხოლოდ რუსეთი არ არის ოკუპანტი და საზოგადოებაში ერთგვარ ალტერნატივას აჩენს. საინფორმაციო გამოშვებებიდან ძირითადად მხოლოდ ობიექტივში დაფიქსირდა სიძულვილის ენის შემთხვევები.

რადიოების საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

INTERNEWS GEORGIA

პროექტის შესახებ

„ინტერნიუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ 2016-2018 წლებში დაფინანსებული პროექტების ფარგლებში რადიომაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს აკვირდებოდა:

- **2016 წელის 20 მაისი - 2 ნოემბერი**: პროექტის, „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“, ფარგლებში 12 რადიოარხის მონიტორინგი განახორციელდა. ესენია: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „ფორტუნა“, „თავისუფლება“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „ქალაქი“, „მაესტრო“, „ჰერეთი“ (ქ. თბილისი/ლაგოდეხი), „რიონი“ (ქ. ქუთაისი), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი) და „აჭარა“(ქ. ბათუმი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი);
- **2017 წლის 19 ივნისი - 19 ნოემბერი**: პროექტის, „საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი“, ფარგლებში
  დაკვირვება ხორციელდებოდა 14 რადიომაუწყებლზე: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „ფორტუნა“, „თავისუფლება“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „მაესტრო“, „აფხაზეთის ხმა“, „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი), „რიონი“ (ქ. ქუთაისი), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი), „ჰერეთი“ (ქ. თბილისი/ლაგოდეხი), „მარნეული“ და „აჭარა“ (ქ. ბათუმი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი).
- **2018 წლის 18 ივნისი - 28 ნოემბერი:** პროექტის, „2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“, ფარგლებში, 11 რადიომაუწყებლის მონიტორინგი განხორციელდა. ესენია: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „აჭარა“ (აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ქ. ბათუმი), „თავისუფლება“, „იმედი“, „მაესტრო“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „ფორტუნა“, „აფხაზეთის ხმა“, „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი), „ჰერეთი“ (ქ. თბილისი/ლაგოდეხი).

წინამდებარე ანგარიში 2016-2018 წლებში რადიომაუწყებლების საღამოს საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას გამოვლენილ ძირითად ტენდენციებს ასახავს და მიზნად ისახავს კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების შედეგების ანალიზს.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

რადიოარხების მთავარი საინფორმაციო გამოშვებების საარჩევნო თემების მონიტორინგის მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური

სტანდარტების დაცვით ხდება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტებისთვის საეთერო დროის გამოყოფა და მათი საქმიანობის გაშუქება.
მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ეტაპებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ დათვლად ინდიკატორებს, როგორიცაა სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (წამობრივად), ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი) და პირდაპირი/ირიბი გაშუქება ანუ ის, თუ ვინ საუბრობს სუბიექტზე, თავად თუ სხვა პიროვნება. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორიცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია; ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.
მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე, პარტიებზე და პოლიტიკოსებზე. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის) და პრეზიდენტი.

ძირითადი ტენდენციები

კვლევების რაოდენობრივი შედეგები

რადიომაუწყებლების საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში ცდილობდნენ მოეცვათ ყველა მოვლენა და პოლიტიკური პროცესები აქტიურად გაეშუქებინათ. ყველაზე მეტი დრო მთავრობას, „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ევროპულ საქართველოს“ (2017-2018 წწ.) ეთმობოდათ. 2016 წელს, 2012-2014 წლებთან შედარებით, ოპოზიციური, მათ შორის არასაპარლამენტო, პარტიებისთვის დათმობილი დრო გაიზარდა. თუმცა, ეს ტენდენცია 2017-2018 წლებში არ შენარჩუნებულა: რადიომაუწყებლების საინფორმაციო გამოშვებებში მათზე ნაკლებად საუბრობდნენ, მაგრამ ეთერში პოლარიზება არ შეინიშნებოდა, არც ისეთი შემთხვევა დაფიქსირებულა, რომ რომელიმე რადიომაუწყებელს საერთოდ არ გაეშუქებინა პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც სხვა არხებზე შუქდებოდა.

2018 წელს, წინა წლებთან შედარებით, რადიომაუწყებლების ნაწილი მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირ საუბარს უფრო მეტ დროს უთმობდა. ადრე თუ პოლიტიკოსების განცხადებებს, დიდწილად, ჟურნალისტი ციტირებდა და პირდაპირ საუბარზე მათთვის დათმობილი მთლიანი დროის, საშუალოდ, 25-30% მოდიოდა, წელს მათი ხმა ეთერში უფრო ხშირად (საშუალოდ, 45%) ისმოდა. თუმცა, მცირე ქრონომეტრაჟის საინფორმაციო გამოშვებების მქონე არხებზე („ფორტუნა“, „აფხაზეთის ხმა“) სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 100% ისევ ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა. რამდენიმე რადიოარხზე („იმედი“, „აჭარა“) ერთ-ერთი პრობლემა რესპონდენტების იდენტიფიცირებაც იყო, რადგან, ზოგ შემთხვევებში, ჟურნალისტი მათ ვინაობას არ ასახელებდა და მსმენელისთვის ხშირად გაუგებარი იყო, ვინ საუბრობდა.

წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება

წინასაარჩევნო კამპანია, როგორც წესი, არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად შედარებით აქტიურდება და, შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი დროც მატულობს. თუმცა, დრო, ძირითადად, კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრებს (ვის შეხვდა, სად შეხვდა, რას დაჰპირდა) ეთმობოდა. ინფორმაცია მშრალი და ზედაპირული იყო, საარჩევნო პროგრამები სიღრმისეულად არ განიხილებოდა. შესაბამისად, მსმენელი, ძირითადად, პოლიტიკოსების ზოგადი ხასიათის დაპირებებს ისმენდა და არ ჩანდა მცდელობა მისთვის უფრო ანალიტიკური და მრავალფეროვანი ინფორმაცია მიეწოდებინათ. კანდიდატების ზოგადი განცხადებების ამომრჩევლამდე მიტანა კი მათ ინფორმირებულ არჩევანს ვერ უზრუნველყოფს.

2016 წელს რადიომაუწყებლების დიდი უმრავლესობა ტონთა სიჭრელით გამოირჩეოდა, თუმცა მოვლენების ზედაპირული, მშრალი და ჟურნალისტების კრიტიკულ კითხვებს მოკლებული გაშუქების გამო, როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციის მიმართ, მთლიანი დროის საშუალოდ, 65% ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებსა თუ ქვეყნის განვითარების ხედვებზე სიღრმისეული სიუჟეტები არ მომზადებულა. მცირე დრო დაეთმოთ დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატებს და მსმენელს მათი პარტიული კუთვნილების გარდა სხვა ინფორმაცია ნაკლებად მიეწოდებოდა, ხოლო მაჟორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატებს დრო თითქმის არ დათმობიათ.

რადიომაუწყებლებმა არჩევნების დღეებში (8.10.2016 და 30.10.2016) აქტიურად იმუშავეს: გააშუქეს დარღვევები, პოლიტიკოსების, ცესკოს, დამკვირვებლებისა და არასამთავრობო სექტორის პოზიციები. თუმცა, არჩევნების მეორე ტურამდე პერიოდის საარჩევნო კამპანიას რადიოარხების უმეტესობამ მცირე დრო დაუთმო, ძირითადად, პოლიტიკური პარტიების აქტივობები შუქდებოდა და არა მეორე ტურში გასული მაჟორიტარობის მათი კანდიდატები.

მომდევნო წლებში, არჩევნების დღეებში (21.10.2017 და 28.10.2018) ვრცელი და ანალიტიკური გამოშვება მხოლოდ რამდენიმე რადიომაუწყებელმა მოამზადა. არხების უმეტესობამ არჩევნების დღეს მიმდინარე მოვლენები ისევე ზედაპირულად გააშუქა, როგორც მთლიანად წინასაარჩევნო კამპანია. 2018 წელს რამდენიმე არხს, რომლებიც კვირა დღეს ისვენებენ („ფორტუნა“, „აფხაზეთის ხმა“, „თავისუფლება“) 28 ოქტომბერს, არჩევნების პირველი ტურის დღესაც არ მოუმზადებია საინფორმაციო გამოშვება. თუმცა, არჩევნების მეორე ტური აქტიურად გააშუქეს: ეთერში გადიოდა ინფორმაცია საარჩევნო უბნებიდან, ცესკოს და დამკვირვებლების კომენტარები და ა.შ. გამონაკლისს წარმოადგენდა რადიო „მაესტრო“, რომელსაც საკუთარი საინფორმაციო გადაცემა არ მოუმზადებია, მის ეთერში არჩევნების დღეებში (28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი) „ტვ პირველი“ იყო ჩართული.

2017 წელს არჩევნების მეორე ტურის გაშუქებას რადიომაუწყებლების უმეტესობამ დრო ფაქტიურად არ დაუთმო, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, ის იყო, რომ დედაქალაქის და სხვა თვითმმართველი ქალაქების მერები პირველივე ტურში აირჩიეს.

2017-2018 წლებში თვითმმართველი ქალაქების მერობის და პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის დროის ცალკე დათვლა მონიტორინგის დასაწყისიდანვე დაიწყო, მას შემდეგ რაც ესა თუ ის პარტია ან ჯგუფი მას კანდიდატად წარადგენდა. საინფორმაციო გამოშვებებში საპარლამენტო პარტიების მხარდაჭერილი მერობის და პრეზიდენტობის კანდიდატების გარდა სხვა კანდიდატები რადიომაუწყებლების ყურადღებას ნაკლებად იქცევდნენ.
2017 წელს ხუთი თვითმმართველი ქალაქის მერობის კანდიდატებიდან უმეტესად თბილისის კანდიდატების აქტივობები შუქდებოდა. არხების უმეტესობაზე მათთვის დათმობილი დროის, საშუალოდ, 70% ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა.



2018 წელს არჩევნების მეორე ტურამდე პერიოდში განვითარებულ მოვლენებს რადიოარხები აქტიურად აშუქებდნენ, თუმცა მათ მუშაობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნებოდა. ჟურნალისტები მსმენელს კანდიდატების საარჩევნო დაპირებებს აცნობდნენ, თუმცა რამდენად შეეძლოთ გაცემული დაპირებების შესრულება და ზოგადად სცდებოდა თუ არა ესა თუ ის დაპირება მომავალი პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ჟურნალისტები ამ თემით არ დაინტერესებულან.

პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის დათმობილი დრო რადიომაუწყებლების დიდ უმრავლესობაზე მთლიანი დროის, საშუალოდ, 7%-ს არ აღემატებოდა. კანდიდატებიდან ყველაზე მეტად გაშუქდნენ: სალომე ზურაბიშვილი, დავით ბაქრაძე და გრიგოლ ვაშაძე.

კანდიდატებისთვის დათმობილი დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. შედარებით მაღალი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტონი მხოლოდ

სალომე ზურაბიშვილის მიმართ გამოვლინდა. იგი ოპონენტების ხშირი კრიტიკის ობიექტი იყო და ეთერში, ძირითადად, მის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე ოპოზიციის და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების კომენტარები ისმოდა. გრიგოლ ვაშაძეს ყველაზე მაღალი (35%) უარყოფითი ტონი რადიო „იმედზე“ დაუგროვდა, ხოლო დადებითი - „პირველ რადიოსა“ (38%) და „მაესტროზე“ (34%).

პირველი ტურის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის მანძილზე პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის შედარებით ბევრი დრო (სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის საშუალოდ, 2%) ასევე დაეთმო დავით ბაქრაძეს და ამ დროის 70% ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა „პირველი რადიო“, სადაც მისთვის დათმობილი 53 წუთიდან 51% დადებითი გაშუქება იყო.





კვლევების თვისებრივი შედეგები

სიღრმისეული გაშუქება და ექსკლუზიური თემები

რადიომაუწყებლების უმეტესი ნაწილის („მაესტრო“, „პირველი რადიო“, „პალიტრა“, „იმედი“) საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი საშუალებას იძლევა თემები უფრო სიღრმისეულად გაშუქდეს და ახალ ამბებში გასულ ინფორმაციას, უმეტესად, პოლიტიკოსთა ზოგადი განცხადებები კი არ განსაზღვრავდეს, არამედ ჟურნალისტების მიერ მოძიებული და დღის წესრიგში დაყენებული საკითხები. ქრონომეტრაჟი ასევე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გაშუქდეს როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონების სიახლეები, უმცირესობებისა თუ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების პრობლემები, მაგრამ რადიოარხების უმრავლესობა 2018 წელს ამ შესაძლებლობას ნაკლებად იყენებდა. 2016-2017 წლებშიც ამ თემებისთვის დათმობილი დრო საკმაოდ მცირე იყო, თუმცა 2018 წელს რადიომაუწყებლების დიდი უმრავლესობის საინფორმაციო გამოშვებებში ეს საკითხები თითქმის არ განიხილებოდა და, ბუნებრივია, ამ პრობლემებთან დაკავშირებით არც პოლიტიკოსთა მოსაზრებები ისმოდა. გამონაკლისს (არა მარტო 2016-2018 წწ., არამედ 2012-2014 წლებშიც) წარმოადგენდნენ რადიოები: „თავისუფლება“ და „ჰერეთი“.

რადიო „ჰერეთი“ (ქ.ლაგოდეხი/თბილისი) ადგილობრივი ახალი ამბების გაშუქებისას, პოლიტიკოსთა ზოგადი განცხადებების ნაცვლად, ფოკუსს კონკრეტულ სოციალურ და ეკონომიკურ თემებზე აკეთებდა. ჟურნალისტები კახეთის რეგიონის პრობლემებზე და სოციალურ თემებზე შედარებით სიღრმისეულ და ანალიტიკურ სიუჟეტებს ამზადებდნენ.

რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტები ექსკლუზიურ სიუჟეტებზე მუშაობდნენ და აშუქებდნენ ისეთ თემებს (ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, გენდერი, ეკოლოგია, სოციალური საკითხები, ინფრასტრუქტურული პრობლემები და ა.შ.), რომლებიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში არ ხვდებოდა. არხი დიდ ყურადღებას უთმობდა რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს და ამ მხრივ, ხშირად უფრო მეტ სიუჟეტს ამზადებდა, ვიდრე რეგიონუნლი რადიომაუწყებლები, თუმცა წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას ნაკლები დრო ეთმობოდა.

ამ არხებზე ტონთა სიჭრელე გამოვლინდა, რაც საკითხების მრავალფეროვანმა და სხვადასხვა რაკურსით გაშუქებამ განაპირობა. სუბიექტების უმეტესობას დროის მნიშვნელოვანი ნაწილი უარყოფით ტონში დაუგროვდათ, რაც მწვავე თემების გაშუქებისას ჟურნალისტების კრიტიკული დამოკიდებულებით აიხსნება, ხოლო ამავე სუბიექტების დადებით ტონში გაშუქება - სიუჟეტების დაბალანსებით, რადგან მხარეებს საკუთარი პოზიციის წარმოჩენის საშუალება ეძლეოდათ - დროის, საშუალოდ, 40% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.



2016 წელს ამ კუთხით (სიღრმისეული, საავტორო სიუჟეტები, წყაროთა მრავალფეროვნება, კრიტიკული კითხვების სიმრავლე) ასევე გამორჩეული იყო რადიო „პალიტრა“, სადაც დღის მთავარ თემებთან დაკავშირებით მზადდებოდა ანალიტიკური სიუჟეტები, ჩანდა ჟურნალისტების მცდელობა, რომ საკითხები ამომწურავად და სხვადასხვა რაკურსით გაეშუქებინათ. თუმცა, 2017-2018 წლებში ეს ტენდენცია არ შენარჩუნებულა: შემცირდა ექსკლუზიური თემების რაოდენობა, ჟურნალისტები პროაქტიულობით აღარ გამოირჩეოდნენ და მწვავე კითხვებსაც იშვიათად სვამდნენ, რაც ნეიტრალური ტონის ზრდაზე აისახა.



2016-2018 წლებში დაკვირვების ქვეშ მყოფი რამდენიმე რადიოარხი („ფორტუნა“, „აფხაზეთის ხმა“, „ქალაქი“) 3-5 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, სადაც დღის მთავარი ახალი ამბები მოკლედ და ზედაპირულად შუქდებოდა. საინფორმაციო სააგენტოების სტილში მომზადებული მასალები ანალიზისა და ინფორმაციის ამომწურავად მიწოდების საშუალებას არ იძლეოდა.

რადიო „მაესტრო“, წლების მანძილზე, ყველაზე ხანგრძლივ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, სადაც ინტენსიურად შუქდებოდა პოლიტიკური პროცესები, მათ შორის საარჩევნო კამპანიაში ჩართული პარტიების და კანდიდატების აქტივობები. თუმცა, ეთერში გასული ინფორმაცია სხვა რადიომაუწყებლების ახალი ამბებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა. ჟურნალისტები ახალი თემების მოძიებას, განცხადებების გადამოწმებასა და მასალების გამრავალფეროვნებას ნაკლებად ცდილობდნენ. არხის ეთერში ხშირად ისმოდა ხელისუფლების კრიტიკა, რაც ოპოზიციის განცხადებებს უკავშირდებოდა და არა მოვლენების სიღრმისეულ ან ანალიტიკურ გაშუქებას.

ბალანსი

2018 წელს, წინა წლებთან შედარებით, ახალი ამბების გამოშვებები რადიოარხების უმეტესობაზე უფრო მეტად დაბალანსებული იყო: ეთერში ისმოდა პოლიტიკოსთა ურთიერთსაპირისპირო განცხადებები, ხელისუფლების კრიტიკაც და მათაც ეძლეოდათ საკუთარ მიღწევებზე საუბრის საშუალება, მაგრამ ისევე როგორც წინა წლებში, წელსაც შეინიშნებოდა ინფორმაციის წყაროთა და კრიტიკული კითხვების ნაკლებობა. ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ახალ ამბები არ მომზადებულა, თუმცა ჟურნალისტები ფაქტების და ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გადამოწმებას ნაკლებად ცდილობდნენ. წლების მანძილზე რადიომაუწყებლების ეთერში თემების აქტუალურობას პოლიტიკოსთა განცხადებები განსაზღვრავდნენ და არა ჟურნალისტების მოპოვებული ინფორმაცია: ისინი პოლიტიკოსთა დღის წესრიგს მიჰყვებოდნენ, აკლდათ პროაქტიულობა, არ იგრძნობოდა მცდელობა, თავად აღმოეჩინათ პრობლემა და დისკუსიის საგნად ექციათ.

რადიოარხებს შორის კონკურენციის ნაკლებობაა, ისინი ექსკლუზიურ კონტენტს ვერ ქმნიან. 2016-2017 წლებში სხვადასხვა რადიოსადგურის გადმოცემული ინფორმაცია უმეტესად მსგავსი იყო: ახალი ამბების ტექსტები ერთმანეთს ხშირად ემთხვეოდა, ეთერში ერთი და იგივე სინქრონები გადიოდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით პარტიების და კანდიდატების წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებისას შეინიშნებოდა. 2018 წელს მაუწყებლებს სიღრმისეული ან ექსკლუზიური სიუჟეტების მომზადება არ დაუწყიათ, თუმცა ზოგი თემის (მაგალითად: შესაძლო ელიტური კორუფცია, ფარული ჩანაწერების თემა, ხორავას ქუჩის საქმეზე საგამოძიებო კომისიის მუშაობა, შვილმოკლული მამების საპროტესტო აქციები) გაშუქებისას სხვადასხვა მაუწყებელზე მოვლენები მიუკერძოებლად, მაგრამ სხვადასხვა კუთხით შუქდებოდა: სიუჟეტებში ორივე მხარის მოსაზრებები ისმოდა, მაგრამ ზოგ მაუწყებელზე („რადიო 1“, „იმედი“) ფოკუსი ხელისუფლების პოზიციაზე კეთდებოდა, მათი კომენტარები უფრო ვრცელი იყო, ხოლო ოპოზიციის კრიტიკა ლაკონური და ზოგჯერ შერბილებული.

ცალკეული სიუჟეტები დაუბალანსებელი იყო „პირველი რადიოს“ ეთერშიც, სადაც უმეტესად ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი რესპონდენტების ხმა ისმოდა. შედეგად, მმართველ გუნდს დროის მნიშვნელოვანი ნაწილი უარყოფით ტონში დაუგროვდა. 2016 წელს მაუწყებელზე სიუჟეტების უფრო დიდი ნაწილი იყო დაუბალანსებელი, დაფიქსირდა საინფორმაციო გამოშვებების დროის ირაციონალურად გამოყენების შემთხვევებიც, როდესაც რამდენიმე, საშუალოდ, 12 წუთიანი გადაცემის 8 წუთი ერთ ახალ ამბავს (სოფელ კორცხელში № 53 საარჩევნო უბანთან მომხდარი დაპირისპირება, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას ბრიფინგები) დაეთმო. 2017-2018 წლებში რადიომაუწყებელი უფრო დაბალანსებულ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, თუმცა ცალკეულ სიუჟეტებში როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ, მათ საპასუხო კომენტარებისთვის ეთერი ხშირად არ ეთმობოდათ, ამიტომ უარყოფითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „ქართულ ოცნებას“ დაუგროვდა. შესაბამისად, დაფიქსირდა პირდაპირი საუბრისთვის დათმობილი დროის არათანაბარი განაწილებაც -

2017 წელი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (62%), „ევროპული საქართველო“ (65%), „ქართული ოცნება“ (30%); 2018 წელი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (53%), „ევროპული საქართველო“ (70%), „ქართული ოცნება“ (32%);



2016 წელს ცალკეული ახალი ამბები უფრო მეტად დაუბალანსებელი იყო რადიო „იმედზეც“. ზოგ შემთხვევებში მასალა ერთ წყაროზე დაყრდნობით მზადდებოდა. მაგალითად, 2016 წელს, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სიუჟეტები დაუბალანსებელი გახდა და „ქართული ოცნების“ დადებითი ტონის ზრდასთან ერთად (22%-დან 37%-მდე), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ უარყოფითი ტონი მკვეთრად გაიზარდა (17%-დან 59%-მდე). მას პირდაპირი საუბრისთვისაც დრო თითქმის არ დათმობია, მაშინ, როცა სხვა სუბიექტების ხმა ხშირად ისმოდა (საშუალოდ, 40%).



2017 წელს სიუჟეტებში ფორმალური ბალანსი უფრო მეტად დაცული იყო. მართალია, ინფორმაციის წყაროთა სიმწირე ისევ შეინიშნებოდა და ზოგ შემთხვევებში ბალანსი მმართველი გუნდის სასარგებლოდ იხრებოდა, მაგრამ სიუჟეტები დაბალანსდა და რესპონდენტთა პირდაპირი საუბრის წილიც მთლიანობაში საშუალოდ 40%-მდე გაიზარდა.

2018 წელსაც რადიო „იმედის“ მთავარ გამოწვევად ჟურნალისტების მეტი პროაქტიულობა და პოლიტიკოსთა განცხადებების მიმართ მეტი სკეპტიციზმის გამოჩენა დარჩა. ახალი ამბები, ძირითადად, მიუკერძოებლად შუქდებოდა, თუმცა ზოგ შემთხვევებში ბალანსი მმართველი გუნდის და მათი მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ იხრებოდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემი არჩევნების მეორე ტურამდე პერიოდში იყო.

2016 წელს მოვლენების დაუბალანსებლად გაშუქება რადიო „ფორტუნაზეც“ გამოვლინდა. საინფორმაციო გამოშვებებში ახალ ამბებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა, დიდი ნაწილი სტუმართან ინტერვიუს ეკავა, სადაც აქტუალურ თემებს განიხილავდნენ. მოწვეული სტუმრები ხშირად მმართველ პარტიას აკრიტიკებდნენ, ისე რომ ამ უკანასკნელს საპასუხო კომენტარის გაკეთების საშუალება არ ეძლეოდა. 2017-2018 წლებში საინფორმაციო გამოშვებები მთლიანად ახალ ამბებს ეთმობოდა. მართალია, რომელიმე სუბიექტის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ გამოვლენილა, მაგრამ ზოგჯერ ცალკე აღებული ახალი ამბები დაუბალანსებელი იყო და ხშირად ერთ წყაროს ეყრდნობოდა.



რეგიონუნლი მაუწყებლები

მონიტორინგი ასევე შეეხოთ რეგიონუნლ რადიომაუწყებლებს: „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი), „რიონი“ (ქ. ქუთაისი), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი), „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი), „მარნეული“. ისინი აქცენტს რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, სოციალურ პრობლემებზე აკეთებდნენ, თუმცა საინფორმაციო გამოშვებებში ცენტრალური ამბებიც ხვდებოდა.

რეგიონუნლ რადიომაუწყებლებზე განსაკუთრებით პრობლემური ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქება იყო: ჟურნალისტების კითხვები ნაკლებად მწვავე იყო და პოლიტიკოსებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი თავი დადებით კონტექსტში წარმოეჩინათ. მაშინ, როდესაც სოციალურ პრობლემებზე მომზადებულ სიუჟეტებს და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას შეიძლება სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. 2016 წელს პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად შუქდებოდნენ ისეთ ღონისძიებებზე (სპორტული, კულტურული, რელიგიური, საგანმანათლებლო), რომლებიც მათ პირდაპირ ნაკლებად უკავშირდებოდა და მკვეთრად პოზიტიურად წარმოაჩენდა. მომდევნო წლებში მსგავსი შემთხვევები მნიშვნელოვნად შემცირდა.

რეგიონუნლი მაუწყებლების მთავარი პრობლემა მოვლენების მშრალი და ზედაპირული გაშუქება, ჟურნალისტების ნაკლები პროაქტიულობა იყო. ისინი მიუკერძოებლად მუშაობდნენ, თუმცა პოლიტიკოსთა აქტივობებს ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების გარეშე გადმოსცემდნენ და მწვავე კითხვებსაც ნაკლებად სვამდნენ, რის გამოც როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია უფრო დადებითად და ნეიტრალურად გაშუქდა, ვიდრე კრიტიკულად. ამ მხრივ გამონაკლისს, რადიო „ჰერეთთან“ ერთად, რადიო „მარნეული“ წარმოადგენდა.

რადიო „მარნეული“ ქვემო ქართლში მიმდინარე მოვლენებს კრიტიკულად აშუქებდა. ჟურნალისტები ერთხელ გაშუქებულ თემებს შემდგომშიც უბრუნდებოდნენ. არხი თემების მრავალფეროვნებით, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის, გარემოს დაცვისა თუ ეკონომიკური პრობლემების წინ წამოწევით გამოირჩეოდა. ჟურნალისტები ისეთ თემებს ეხებოდნენ, როგორიცაა ნაადრევი ქორწინება, ქალების პოლიტიკაში ჩართულობა, უმცირესობების უფლებები. ზოგჯერ მათ მიერ აღმოჩენილი პრობლემები სხვა მედიასაშუალებების ყურადღებასაც იქცევდნენ და ის, რაც მხოლოდ რეგიონის ლოკალურ პრობლემებად შეიძლება დარჩენილიყო, ქვეყნის მასშტაბით მთავარი თემა (მაგ.: რატომ არ ესწრებოდნენ ქალები მარნეულის ახლადარჩეული მერის მოსახლეობასთან შეხვედრას) ხდებოდა.

არხზე საარჩევნო კამპანიაც ინტენსიურად შუქდებოდა, ჟურნალისტები კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრების გაშუქებით არ შემოიფარგლებოდნენ და ცდილობდნენ არჩევნებში მონაწილე სუბიექტების პროგრამების შესახებაც ესაუბრათ.



მნიშვნელოვანია, რეგიონუნლმა რადიომაუწყებლებმა რეგიონში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას მეტი დრო დაუთმონ და სიუჟეტებში ბალანსის დაცვით და ექსკლუზიური თემების სიღრმისეული გაშუქებით მსმენელს მრავალმხრივი და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდონ.

საზოგადოებრივი მაუწყებლები

საზოგადოებრივი მაუწყებლები („რადიო1“, „აჭარა“) მათ მიმართ არსებულ მოლოდინებს ვერ ამართლებდნენ: ჟურნალისტები სიღრმისეულ, ექსკლუზიურ სიუჟეტებს არ ამზადებდნენ, საინფორმაციო გამოშვებების კონტენტი მშრალი და ზედაპირული იყო.

2017 წელს, წინა წელთან შედარებით, „რადიო 1“-ის საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი რამდენიმე წუთით გაიზარდა, რაც ჟურნალისტებს საშუალებას აძლევდათ ახალი ამბები შედარებით მრავალფეროვანი გაეხადათ და საკითხების ირგვლივ არსებული განსხვავებული პოზიციები წარმოეჩინათ. თუმცა, კვლავაც პრობლემად დარჩა ჟურნალისტების მიერ რესპონდენტთა კომენტარების გადამოწმება, დამატებითი ინფორმაციის მოძიება და მწვავე კითხვების ნაკლებობა. 2018 წელს „რადიო 1“, ძირითადად, კვლავაც მიუკერძოებლად მუშაობდა, თუმცა ზოგ შემთხვევებში ეთერში გასული ინფორმაცია (მაგალითად: მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება, ლარის კურსის ვარდნა, შესაძლო ელიტური კორუფცია, დაზიანებული ყურძნის ჩაბარება, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის საგამოძიებო კომისიის სხდომა, შვილმოკლული მამების პროტესტი, ფარული ჩანაწერების თემა, 30 ოქტომბრის ახალქალაქის ინციდენტი) აჩენდა ეჭვს, რომ ჟურნალისტები ხელისუფლების კრიტიკას ერიდებოდნენ. არჩევნების მეორე ტურამდე პერიოდში (29 ოქტომბერი - 27 ნოემბერი) მაუწყებელი შედარებით დიდ დროს უთმობდა ხელისუფლების იმ განცხადებების ან საქმიანობების გაშუქებას, რაც მმართველ გუნდს დადებითად წარმოაჩენდა, შედეგად მთავრობას და ადგილობრივ მთავრობას გაშუქების 39% დადებით ტონში დაუგროვდათ.



2016-2017 წლებში რადიო „აჭარა“ ხელისუფლებას მკვეთრად პოზიტიურ კონტექსტში წარმოაჩენდა. განსაკუთრებით დადებითად აჭარის მთავრობა და ადგილობრივი თვითმმართველობები შუქდებოდნენ. ჟურნალისტები აქცენტს სხვადასხვა სამთავრობო პროექტების წარმატებით განხორციელებაზე აკეთებდნენ. ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიტიურ განცხადებებს ჟურნალისტების მხრიდან საპასუხო, მწვავე კითხვები არ ხვდებოდა. 2018 წელს მმართველი გუნდის დადებითად გაშუქების ტენდენცია შემცირდა, თუმცა პოზიტიური მაჩვენებელი ამჯერადაც მაღალი იყო, რადგან

ჟურნალისტები ხელისუფლების მიმართ მწვავე კითხვებს კვლავაც ნაკლებად სვამდნენ. პირველი ტურის არჩევნების შემდგომ პერიოდში კი ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელებული, თუ დაგეგმილი პროექტები, რომლებიც მათ დადებითად წარმოაჩენდა, უფრო აქტიურად შუქდებოდა, რაც დადებითი ტონის 22%-დან 37%-მდე ზრდაში აისახა.



საზოგადოებრივი მაუწყებლების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი დასვამენ კრიტიკულ კითხვებს, გააშუქებენ ისეთ თემებს და პრობლემებს, რომლებიც კერძო რადიომაუწყებლების ეთერში შეიძლება არ მოხვდეს.

დასკვნა

2016-2018 წლებში რადიომაუწყებლები საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდნენ და წინასაარჩევნო კამპანიასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. თუმცა წინასაარჩევნო პროგრამები სიღრმისეულად არ შუქდებოდა და მსმენელი მხოლოდ პოლიტიკოსების ზოგად დაპირებებს ისმენდა, ჟურნალისტები საარჩევნო პროგრამებთან დაკავშირებით კითხვებს ნაკლებად სვამდნენ.

კვლევებმა ცხადყო, რომ რადიო არ არის პოლარიზებული მედიასეგმენტი და მოვლენების მიუკერძოებელი გაშუქებით გამოირჩევა, თუმცა 2018 წელს, ზოგ შემთხვევაში, სხვადასხვა მაუწყებელზე გარკვეული მოვლენები სხვადასხვა კუთხით შუქდებოდა. მთლიანობაში, 2017-2018 წლებში, 2016 წელთან შედარებით, საინფორმაციო გამოშვებებში ბალანსი უფრო დაცული იყო. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ რადიომაუწყებლები მიუკერძოებლად მუშაობდნენ, სიღრმისეული, ანალიტიკური სიუჟეტების და კრიტიკული კითხვების ნაკლებობა მსმენელს არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის საშუალებას ვერ აძლევდა. ჟურნალისტები, ძირითადად, პოლიტიკოსების მიერ განსაზღვრულ დღის წესრიგს მიჰყვებოდნენ, მოვლენებს ანალიზისა და დამატებითი ინფორმაციის მოძიების

გარეშე აშუქებდნენ. შესაბამისად, თემების ირგვლივ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა რჩებოდა, რაც ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში ვერ დაეხმარებოდა. ამომრჩევლის ინფორმირებულობას ისიც შეუწყობდა ხელს, თუ რადიომაუწყებლები ყურადღებას სოციალური თემებზე, რეგიონების და ამა თუ იმ უმცირესობების პრობლემებზე გაამახვილებდნენ და ამ საკითხებზე პოლიტიკური პარტიების პოზიციებს წარმოაჩენდნენ. თუმცა, 2018 წელს მსგავსი თემების გაშუქებამ მკვეთრად იკლო და სიუჟეტები მხოლოდ მაშინ მზადდებოდა, როდესაც საკითხზე ყურადღებას პოლიტიკოსები ამახვილებდნენ და არა ჟურნალისტები.

წლების განმავლობაში რადიოარხების მთავარ პრობლემად მოვლენების ზედაპირული გაშუქება რჩება. 2016-2018 წლებში მხოლოდ რამდენიმე რადიომაუწყებელმა მოახერხა საინფორმაციო გამოშვებებში მოვლენების სიღრმისეული გაშუქება, ექსკლუზიური მასალების მომზადება და რეგიონების პრობლემებზე ყურადღების გამახვილება. მათ მიმართ არსებულ მოლოდინებს ვერ ამართლებდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლებიც. მათი გადაცემების კონტენტი მშრალი და ზედაპირული იყო, ჟურნალისტები ექსკლუზიურ სიუჟეტებს არ ამზადებდნენ. ამავე დროს, 2018 წელს, ზოგ შემთხვევებში, ეთერში გასული ინფორმაცია აჩენდა ეჭვს, რომ ჟურნალისტები ხელისუფლების კრიტიკას ერიდებოდნენ.

2018 წელს რადიომაუწყებლების ნაწილი ხელისუფლების მწვავე კრიტიკას არ ერიდებოდა და სიუჟეტებში სხვადასხვა მხარის პოზიციებიც გვხვდებოდა, მაგრამ მათი უმეტესობა რესპონდენტთა განცხადებების გადამოწმებას არ ცდილობდა. ეთერში მხოლოდ პოლიტიკოსთა ურთიერთსაპირისპირო კომენტარები ისმოდა.

მედიის თავისუფლებისთვის კარგია, რომ რადიომაუწყებლები ხელისუფლების კრიტიკას არ ერიდებიან და ეთერში ოპოზიციის ხმა ისმის, რომ ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებენ და არც ხმით/მუსიკით მანიპულაციის ან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები დაფიქსირებულა, თუმცა, ამასთან, აუცილებელია, რომ ჟურნალისტების როლი კიდევ უფრო გამოიკვეთოს: გამოჩნდეს, რომ ისინი მხოლოდ ოპოზიციონერთა განცხადებებს არ ეფუძნებიან და ფაქტების გადამოწმებას, ახალი თემების მიგნებასა და მასალების გამდიდრებას ცდილობენ. 2016-2018 წლების რადიომაუწყებლების საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები კი გვიჩვენებს, რომ მსმენელს დაბალანსებული და მრავალმხრივი ინფორმაციის მისაღებად ჯერ კიდევ სხვადასხვა რადიომაუწყებლის მოსმენა მოუწევს.

2016 წლის საპარლამენტო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში „სამოქალაქო განვითარების ისტიტუტმა“ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განახორციელა ქართული ონლაინ მედიის საარჩევნო მონიტორინგი.

მონიტორინგისთვის შერჩეულ ვებსაიტებზე დაკვირვება ხდებოდა როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. რაოდენობრივი დაკვირვების დროს ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე თუ რა სიხშირითა და ტონით შუქდებოდნენ მონიტორინგის სუბიექტები შერჩეულ ონლაინ გამოცემებში. თვისებრივი დაკვირვების დროს კი ყურადღება ეთმობოდა იმას, თუ რამდენად იცავდნენ აღნიშნული გამოცემები ჟურნალისტურ სტანდარტებს, როგორებიც არის, მოვლენების მრავალმხრივი და მიუკერძოებელი გაშუქება, დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, ინფორმაციის წყაროთა სანდოობა და მრავალფეროვნება და ა.შ.

მონიტორინგისთვის შერჩეული ვებსაიტები:

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდი (20 მაისი - 2 ნოემბერი, 2016): allnews.ge, ambebi.ge, droni.ge, etanews.ge, info9.ge, interpressnews.ge, marshalpress.ge, netgazeti.ge, newposts.ge, news.ge, palitratv.ge, pirveli.com.ge, presa.ge, reportiori.ge, tabula.ge, civil.ge, dfwatch.net.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდი (19 ივნისი - 19 ნომებრი, 2017): adjaraps.com, ambebi.ge, batumelebi.ge, chemikharagauli.com, for.ge, inforustavi.ge, interpessnews.ge, knews.ge, kutaisipost.ge, livepress.ge, medianews.ge, netgazeti.ge, news.ge, on.ge, presa.ge, qartli.ge, reginfo.ge, sknews.ge, tabula.ge, telegraph.ge.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდი (18 ივნისი - 27 ნოემბერი, 2018): ambebi.ge, interpessnews.ge, ipress.ge, liberali.ge, marshalpress.ge, netgazeti.ge, news.ge, on.ge, palitravideo.ge, reportiori.ge, tabula.ge.

მონიტორინგის პერიოდში დაკვირვება ხდებოდა მონიტორინგისთვის შერჩეული ვებსაიტების ყველა სტატიაზე.

სამწლიანი მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ ონლაინ მედიაში უფრო და უფრო მცირდება პოლარიზაცია. 2017 და 2018 წლების მონიტორინგისთვის შერჩეული ვებსაიტების დიდ უმრავლესობაში არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ონლაინ გამოცემების დიდი ნაწილი ცდილობს და ახერხებს ჟურნლისტური სტანდარტების დაცვას. ონლაინ მედიაში თითქმის აღარ გვხვდება შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ჟურნალისტთა ტექსტებში. ქართული ონლაინ მედიის მწვავე გამოწვევას წარმოადგენს სარეკლამო სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან და მოვლენების ზედაპირული გაშუქება.

პოლარიზაციის შემცირება ონლაინ მედიაში

ქართულ ონლაინ მედიაში სულ უფრო და უფრო მცირდება პოლარიზაცია. 2016 წლის მონიტორინგის რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, შერჩეული ვებსაიტების ნახევარზე მეტში მეტ-ნაკლებად ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას. ამავდროულად, 2016 წლის მონიტორინგისთვის შერჩეული ვებსაიტების ნახევარში მეტ-ნაკლებად ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები „ქართული ოცნების“ გაშუქებისას. თუმცა, ამ ვებსაიტების დიდ ნაწილში არ შეინიშნებოდა ჟურნალისტთა მხრიდან ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ და აღნიშნული დადებითი და უარყოფითი ტონის მაჩვენებლები ძირითადად მხოლოდ რაოდენობრივი ანალიზის შედეგად ვლინდებოდა. მაგალითად, ზოგი საინფორმაციო სააგენტოსა თუ პორტალის ცალკეულ სტატიებში არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა პოლიტიკური ძალების მიმართ, თუმცა ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, აღნიშნული ტენდენციები შესამჩნევად ვლინდებოდა რაოდენობრივ მონაცემებში:





აღნიშნული რაოდენობრივი მონაცემები განპირობებული იყო უმეტესად რესპონდენტთა დადებითი თუ უარყოფითი განცხადებებით ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ და სხვადასხვა პოლიტიკური ძალის თუ სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა ყოველდღიური საქმიანობის გაშუქებით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის მონიტორინგის პერიოდშიც არ შეინიშნებოდა ცალსახა პოლარიზაცია და ვებსაიტების დადებითი თუ უარყოფითი განწყობები სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიმართ ვლინდებოდა ძირითადად ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად და არა ცალკეულ სტატიებში.

აღნიშნული ტენდენცია საგრძნობლად გამოსწორდა 2017 და 2018 წლების მონიტორინგის პერიოდებში. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, 2017 და 2018 წლებში ქართულ ონლაინ მედიაში საერთოდ აღარ შეინიშნებოდა დადებითი თუ უარყოფითი განწყობები რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ.

მართალია, რომ 2016, 2017 და 2018 წლებში დაკვირვება ხდებოდა სხვადასხვა ონლაინ გამოცემებზე, თუმცა აღნიშნული დადებითი ტენდენცია შეინიშნებოდა იმ ვებსაიტებზეც, რომლებზეც დაკვირვება ხდებოდა სამივე წლის განმავლობაში. მაგალითად, interpressnews.ge-ზე 2016 წლის მონაცემებთან შედარებით, 2017 წელს შეინიშნებოდა მთავრობისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მეტად დაბალანსებული გაშუქება:





2018 წლის მონიტორინგის პერიოდში კი ორი გამონაკლისი ვებსაიტის გარდა, reportiori.ge და marshalpress.ge, მონიტორინგისთვის შერჩეულ არც ერთ გამოცემაში აღარ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. აღნიშნულ ორ ვებსაიტზე კი 2018 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ცხადად შეინიშნებოდა ერთი მხრივ

უაღრესად დადებითი განწყობა სალომე ზურაბიშვილის, ხოლო, მეორე მხრივ, უკიდურესად უარყოფითი განწყობა გრიგოლ ვაშაძის მიმართ:





უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში მონიტორინგისთვის შერჩეულ არც ერთ რეგიონულ ვებსაიტზე არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა პოლიტიკური ძალების მიმართ.

ჟურნალისტური სტანდარტები ონლაინ მედიაში

ქართულ ონლაინ მედიაში ყოველწლიურად უმჯობესდება მდგომარეობა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით. პრაქტიკულად აღარ გვხვდება შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ჟურნალისტთა ტექსტებში. უფრო და უფრო მცირდება გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები.

დაუსაბუთებელი ბრალდებებისა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები გამონაკლისს წარმოადგენდა 2016 წლის მონიტორინგის პერიოდშიც, თუმცა აღნიშნული ხარვეზები 2017 და 2018 წლებში კიდევ უფრო შემცირდა. ცვლილებები შეინიშნებოდა არა მხოლოდ საერთო სურათში, არამედ იმ ცალკეულ ვებსაიტებზეც, რომლებზეც დაკვირვება ხორციელდებოდა სამივე წლის განმავლობაში; მაგალითად, 2016 წლის მონიტორინგის პერიოდში ambebi.ge-ზე გამოვლინდა დაუსაბუთებელი ბრალდებებისა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის ცალმხრივად გამოქვეყნების შემთხვევები (სტატიებში *„ნაციონალური მოძრაობის“ ნეკროლოგი“*, 1 ნოემბერი, 2016; *„როგორ წაართვა კეზერაშვილმა „სენტა პეტროლიუმი“ მფლობელებს - დეტალები გახმაურებული საქმის სასამართლო პროცესიდან“*, 19 მაისი, 2016). 2017 და 2018 წლების მონიტორინგის პერიოდებში კი აღნიშნულ ვებსაიტზე საერთოდ აღარ შეგვხვედრია ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევის შემთხვევები.

2018 წლის მონიტორინგის პერიოდში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევები გვხვდებოდა მხოლოდ ორ ვებსაიტზე, reportiori.ge და marshalpress.ge. ამ ორ გამოცემაში, როგორც 2016, ასევე 2018 წლის მონიტორინგის პერიოდში მოვლენები შუქდებოდა ცალმხრივად და ჟურნალისტური სტანდარტების სხვადასხვა სახის დარღვევების ფონზე. გვხვდებოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები და შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია პოლიტიკოსთა გაშუქებისას. ასევე, ორივე ვებსაიტზე გამოვლინდა უჩვეულო ტენდენცია, რომ განსაკუთრებული სიხშირით ქვეყნდებოდა საზოგადოებისთვის მეტად თუ ნაკლებად ცნობილ პირთა მიერ სოციალური ქსელით გავრცელებული განცხადებები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო უმეტესად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მათი საარჩევნო კანდიდატების, ხშირ შემთხვევებში, საკმაოდ შეურაცხმყოფელი ფორმით, კრიტიკა (მაგალითად *„გია გაბრიჭიძე: გოგორიშვილი ბაყაყის თვალებს აყვარყვალებს, კახიძე ტელეფონით ვიღაცას ემესიჯება, ხოშტარია დუმს...“*, reportiori.ge, 7 სექტემბერი, 2018; *„დავით ლიუაშვილი „ნაციონალებს“: ვერც თქვენ და ვერც თქვენ პროპაგანდისტულ ტელევიზიას ვერაფერი გამოგივათ!“*, reportiori.ge, 13 ოქტომბერი, 2018; *„მიშას ლაქია ვაშაძის პრეზიდენტად მოთრევა გახდა ერთადერთი ხავსი - ბუბა ხოტივარი“*, marshalpress.ge, 24 სექტემბერი, 2018; *„ამ შედეგებით დაგსჯით ყველას - ეგღა მაკლია ულვაშიანმა, რუსეთში გამოკვებილმა სელაპმა მოიგოს!“*, marshalpress.ge, 2 ოქტომბერი, 2018).

2018 წლის მონიტორინგის პერიოდში reportiori.ge-ზე შეგვხვდა კლასიკური ყალბი ცნობის (*Fake News*) გამოქვეყნების შემთხვევაც. reportiori.ge-ზე 10 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატიის (*„აშშ-ში ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტი სასტუმროს ნომერში მარიხუანის მოწევის გამო დააჯარიმეს“*) მიხედვით, ამერიკული გამოცემის Washington Daily-ს ცნობით, საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ში ვიზიტის დროს სასტუმროში მარიხუანის მოწევის გამო დააჯარიმეს. გამოცემა Washington Daily ინტერნეტში საერთოდ არ იძებნება და შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა აღნიშნული გამოცემის არსებობა. პრეზიდენტის შესახებ ცრუ

ინფორმაციის გავრცელების გარდა, იმავე დღეს reportiori.ge-ზე გამოქვეყნდა ექსპერტ მამუკა არეშიძის განცხადება (*„მამუკა არეშიძე: პრეზიდენტის მთავარი ფუნქციაა ქვეყანას წარმოადგენდე ქვეყნის გარეთ“*, 10 აგვისტო, 2018), სადაც რესპონდენტი ეხმაურება აღნიშნულ ფაქტს და აკრიტიკებს პრეზიდენტს შეუსაბამო საქციელის გამო. reportiori.ge-ს მხრიდან არ ჩანდა აღნიშნული ფაქტის სისწორის გადამოწმების არანაირი მცდელობა.

სარეკლამო სტატიები

ქართული ონლაინ მედიის უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. შესაბამისი მითითების გარეშე გამოქვეყნებული სტატიები სისტემატურად გვხვდებოდა მონიტორინგის სამივე წლის განმავლობაში. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც იდენტური სტატიები ერთდროულად ქვეყნდებოდა მონიტორინგისთვის შერჩეულ რამდენიმე გამოცემაში. მაგალითად, 2016 წლის 12 ოქტომბერს მონიტორინგისთვის შერჩეულმა ხუთმა ონლაინ გამოცემამ ერთდროულად გამოაქვეყნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებსაიტზე გავრცელებული ინფორმაცია შსს მინისტრის მიერ გორში სახანძრო-სამაშველო სამსახურის განახლებული შენობის გახსნის შესახებ. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია interpressnews.ge-ზე გამოქვეყნდა სარეკლამო მინიშნებით. 2017 წლის 5 სექტემბერს მონიტორინგისთვის შერჩეულმა ექვსმა ვებსაიტმა ერთდროულად გამოაქვეყნა იდენტური სტატია კახა კალაძის ბრიტანეთის ელჩთან შეხვედრის შესახებ. აღნიშნული ექვსი ვებსაიტიდან ნაწილს ჰქონდა დართული სარეკლამო მინიშნება, ნაწილს ჰქონდა არასათანადო მითითება, ხოლო ნაწილს საერთოდ არ მიუთითებია, რომ სტატია იყო სარეკლამო. 2018 წლის მონიტორინგის პერიოდში მსგავსი შემთხვევები ხშირად გვხვდებოდა ვებსაიტებზე news.ge და ipress.ge.

ზოგი ვებსაიტი უთითებს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს, თუმცა არასათანადოდ. მაგალითად, არაერთი ონლაინ გამოცემისგან განსხვავებით interpressnews.ge მინიშნებას ურთავს სარეკლამო მასალებს, თუმცა, აღნიშნული მინიშნება მკითხველისთვის მარტივად გასაგები არ არის, რადგან მითითებები შესრულებულია ლათინური სიმბოლოებით (წრეში მოთავსებული „NS“, რომელთან კურსორის მიახლოების შედეგად იწერება “News from Subscriber”). ვებსაიტზე inforustavi.ge კი სარეკლამო სტატიებს ჰქონდა მინიშნება ლათინური R. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვებსაიტმა მსგავს სტატიებს დაურთოს ისეთი მინიშნებები, რომლებიც უფრო მარტივად გასაგები იქნება მკითხველისთვის.

არჩევნების გაშუქება

არჩევნებთან დაკავშირებული პროცესები ქართულ ონლაინ მედიაში საკმაოდ აქტიურად და უმეტეს შემთხვევებში, ობიექტურად შუქდებოდა. ვებსაიტების დიდი ნაწილი ცდილობდა და ახერხებდა, რომ სათანადო ყურადღება დაეთმო სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებისთვის საარჩევნო პერიოდში. აქტიურად შუქდებოდა ხმების დათვლისა და შედეგების გამოცხადების პროცედურებიც.

წინასაარჩევნო პერიოდის გაშუქებისას, ვებსაიტების ნაწილში პრობლემას წარმოადგენდა საკითხების ზედაპირული გაშუქება. მაგალითად, არაერთი ვებსაიტი ძირითადად აშუქებდა საარჩევნო კანდიდატთა განცხადებებსა და ყოველდღიურ საქმიანობას და ნაკლებ ყურადღებას უთმობდა აღნიშნულ კანდიდატთა საარჩევნო პროგრამებს.

ონლაინ მედიაში მწვავე პრობლემას წარმოადგენდა კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა საარჩევნო სუბიექტთა დაპირებების გაშუქებისას. ვებსაიტების უმეტესობა წინასაარჩევნო, ხშირ შემთხვევებში, საკმაოდ საეჭვო, დაპირებებს აშუქებდა უკომენტაროდ და მკითხველს არ სთავაზობდა დამატებით ანალიზს აღნიშნული დაპირებების შესახებ.

2016 წლის საპრლამენტო არჩევნების პერიოდში გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ვებსაიტები მმართველი გუნდის დაპირებებს აშუქებდნენ არა წინასაარჩევნო დაპირებების, არამედ უტყუარი ფაქტების სახით; მაგალითად, „ქართული ოცნება“ 200 ათას ახალ სამუშაო ადგილს შემქნის“ (reportiori.ge, 9 სექტემბერი, 2016); „არანხული ცვლილებები საქართველოს ინფრასტრუქტურაში - სად აშენდება ახალი გზები, ხიდები და გვირაბები მომდევნო 4 წელიწადში“ (reportiori.ge, 17 სექტემბერი, 2016); „მომდევნო 4 წლის განმავლობაში დაგეგმილია 50 საავტომობილო გვირაბის მშენებლობა“ (allnews.ge, 17 სექტემბერი, 2016). აღნიშნული მაგალითები მოყვანილია იმ ვებსაიტებიდან, რომლებზეც წინასაარჩევნო პერიოდში შეინიშნებოდა მმართველი გუნდის მხარდაჭერა. თუმცა, სხვადასხვა პოლიტიკური ძალის საარჩევნო დაპირებების უკომენტაროდ და შესაბამისი ანალიზის გარეშე გამოქვეყნება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა იმ ვებსაიტების დიდ ნაწილშიც, რომლებშიც არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიმართ.

მეორე მხრივ, არაერთ ონლაინ გამოცემაში გვხვდებოდა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების მეტად მიუკერძოებელი და სიღრმისეული გაშუქება. ვებსაიტები netgazeti.ge, civil.ge, on.ge, liberali.ge და ხშირ შემთხვევებში tabula.ge ახერხებდნენ მკითხველისთვის არა მხოლოდ ზედაპირული, არამედ სიღრმისეული ანალიზის მიწოდებას როგორც საარჩევნო პროცესებთან, ასევე კანდიდატების საარჩევნო პროგრამებთან, მათი დაფინანსების წყაროებთან და არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით.

საკითხების ზედაპირული გაშუქება

ქართული ონლაინ მედიის მწვავე გამოწვევას წარმოადგენს საკითხების ზედაპირული გაშუქება. ვებსაიტების ნაწილი ცდილობს და ახერხებს მკითხველისთვის საკითხების მრავალმხრივი და სიღმისეული ანალიზის მიწოდებას, თუმცა ვებსაიტების უმეტესი ნაწილი, ხშირ შემთხვევებში, მხოლოდ პოლიტიკოსთა, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა განცხადებებისა და ყოველდღიური საქმიანობის გაშუქებით შემოიფარგლება. შედეგად, ვებსაიტების უმეტესობაში იშვიათად გვხვდება ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება და განსხვავებული მოსაზრებების წარმოდგენა ცალკეულ სტატიებში. იშვიათია ჟურნალისტთა მხრიდან ექსკლუზიური თემების მოძიება და შეიძლება ითქვას, რომ ონლაინ მედიის დიდი ნაწილი ავტომატურ რეჟიმში, უკომენტაროდ აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე ყოველდღიურ მოვლენებს. პოლიტიკოსთა განცხადებები, მათ შორის, ამა თუ იმ პირის მიმართ გამოთქმული მძიმე ბრალდებები, უმეტეს შემთხვევებში, შუქდება

ცალმხრივად, შესაბამისი გადამოწმებისა და საპირისპირო მოსაზრებების მოძიების მცდელობის გარეშე.

სამწლიანი მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სულ რამდენიმე ვებსაიტი - netgazeti.ge, civil.ge, on.ge, libeali.ge და რიგ შემთხვევებში tabula.ge - რომლებიც ახერხებდნენ საკითხების სიღრმისეულ და მრავალმხრივ გაშუქებას, ცალკეულ სტატიებში განსხვავებული მოსაზრებების წარმოდგენასა და ორიგინალური სარედაქციო მასალების შემქნას. სხვა ვებსაიტების დიდი ნაწილი კი საკითხებს უმეტესად მხოლოდ ზედაპირულად აშუქებდა.

რეგიონული ონლაინ მედია

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში დაკვირვება ხდებოდა 11 რეგიონულ ვებსაიტზე. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სხვადასხვა სახის ხარვეზების მიუხედავად, რეგიონული გამოცემების დიდი ნაწილი ახერხებდა მკითხველისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას საარჩევნო პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ რეგიონულ გამოცემებში სარეკლამო სტატიები მკაფიოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან. მაგალითად, 2017 წლის 5 სექტემბერს მონიტორინგისთვის შერჩეულმა ექვსმა ვებსაიტმა ერთდროულად გამოაქვეყნა იდენტური სტატია კახა კალაძის ბრიტანეთის ელჩთან შეხვედრის შესახებ. აღნიშნული ექვსი ვებსაიტიდან მხოლოდ ორს ჰქონდა მკაფიო, ნებისმიერი მკითხველისთვის მარტივად გასაგები მინიშნება და ეს ორივე იყო რეგიონული livepress.ge და kutaisipost.ge.

რეგიონული ონლაინ მედია არ იყო პოლარიზებული და მონიტორინგისთვის შერჩეულ არც ერთ რეგიონულ გამოცემაში არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. აღსანისნავია, რომ რეგიონული ვებსაიტების დიდი ნაწილი საკმაოდ აქტიურად და მიუკერძოებლად აშუქებდა რეგიონებში არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა სახის პრობლემებს. ასევე, წინასაარჩევნო პერიოდში საკმაოდ ობიექტურად შუქდებოდნენ სხვადასხვა პარტიის მერობის კანდიდატები. განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს batumelebi.ge, reginfo.ge და sknews.ge, რომლებიც მკითხველს ხშირად სთავაზობდნენ ექსკლუზიურ მასალებსა და საკითხების მრავალმხრივ და კრიტიკულ ანალიზს.

დასკვნა

სამწლიანი მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ ონლაინ მედიაში ყოველწლიურად იკლებს პოლარიზაცია და ვებსაიტების დიდი უმრავლესობა ახერხებს მკითხველისთვის მეტ-ნაკლებად ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას საარჩევნო პერიოდში. ასევე, ონლაინ მედიაში ყოველწლიურად მცირდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

ონლაინ მედიის უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. შესაბამისი მითითების გარეშე გამოქვეყნებული სტატიები ხშირად გვხვდებოდა მონიტორინგის სამივე წლის განმავლობაში.

ასევე, მწვავე გამოწვევას წარმოადგენს საკითხების ზედაპირული გაშუქება და კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა. ონლაინ გამოცემების დიდი ნაწილი უმეტესად ყურადღებას უთმობს მხოლოდ პოლიტიკოსთა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა განცხადებებსა და ყოველდღიურ საქმიანობას. იშვიათად გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან ექსკლუზიური თემების მოძიება, ფაქტების გადამოწმება, დამატებითი ინფორმაციის წყაროებთან დაკავშირება და ა.შ.

საკითხების ზედაპირული გაშუქება ვლინდება საარჩევნო პერიოდშიც, როდესაც ვებსაიტების დიდი ნაწილი უმეტესად უკომენტაროდ და შესაბამისი ანალიზის გარეშე აშუქებს საარჩევნო სუბიექტთა ყოველდღიურ საქმიანობასა და წინასაარჩევნო დაპირებებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს კანდიდატთა საარჩევნო პროგრამების სიღმისეულ ანალიზს.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ონლაინ მედია ახერხებს მკითხველის ინფორმირებას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და საარჩევნო პროცესების შესახებ. თუმცა, სასურველია, რომ მეტი ყურადღება ეთმობოდეს საკითხების სიღრმისეულ და კრიტიკულ ანალიზს.

2016 წლის საპარლამენტო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში „სამოქალაქო განვითარების ისტიტუტმა“ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განახორციელა ქართული ბეჭდური მედიის საარჩევნო მონიტორინგი.

მონიტორინგისთვის შერჩეულ გამოცემებზე დაკვირვება ხდებოდა როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. რაოდენობრივი დაკვირვების დროს ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე თუ რა სიხშირითა და ტონით შუქდებოდნენ მონიტორინგის სუბიექტები შერჩეულ გამოცემებში. თვისებრივი დაკვირვების დროს კი ყურადღება ეთმობოდა იმას თუ რამდენად იცავდნენ აღნიშნული გამოცემები ჟურნალისტურ სტანდარტებს, როგორებიც არის მოვლენების მრავალმხრივი და მიუკერძოებელი გაშუქება, დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, ინფორმაციის წყაროთა სანდოობა და მრავალფეროვნება და ა.შ.

მონიტორინგისთვის შერჩეული გაზეთები:

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდი (20 მაისი - 2 ნოემბერი, 2016): „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ახალი თაობა“, „გურია news“, „კვირის პალიტრა“, „რეზონანსი“, „ქრონიკა +“.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდი (19 ივნისი - 19 ნომებრი, 2017): „ასავალ-დასავალი“, „ახალი გაზეთი“, „ბორჯომი“, „გურია news“, „გურიის მოამბე“, „თრიალეთის ექსპრესი“. „კვირის პალიტრა“, „მთავარი თემა სამეგრელოში“, „პოსტსკრიპტუმი“, „რეზონანსი“, „სვანეთი“, „სპექტრი“.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდი (18 ივნისი - 27 ნოემბერი, 2018): „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „რეზონანსი“, „ქრონიკა +“, „საქართველო და მსოფლიო“.

მონიტორინგის პერიოდში დაკვირვება ხდებოდა მონიტორინგისთვის შერჩეული გამოცემების ყველა სტატიაზე.

ბეჭდური მედიის სამწლიანი მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართული გაზეთების დიდ უმრავლესობაში შეინიშნება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების სხვადასხვა სახის დარღვევები. ყველაზე უხეში დარღვევები წარმოადგენს შეურაცხმყოფელ და დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას ჟურნალისტთა ტექსტებში, გადაუმოწმებელი და დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებას, დაუსაბუთებელი ბრალდებების გავრცელებას, ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებას, მოვლენების ცალმხრივ გაშუქებასა და რიგ შემთხვევებში, სარეკლამო სტატიების არასათანადო გამიჯვნას სარედაქციო მასალებისგან. აღნიშნული დარღვევები სისტემატურად გვხვდებოდა 2016, 2017 და 2018 წლის მონიტორინგის პერიოდებში.

გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება

ქართული პრესის უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს გადაუმოწმებელი ინფორმაციის, დაუდასტურებელი ფაქტებისა და დაუსაბუთებელი ბრალდებების ხშირი გამოქვეყნება. მონიტორინგის შედეგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული ბეჭდური გამოცემების დიდი ნაწილი საერთოდ არ ზრუნავს მათ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორეზე. გადაუმოწმებელი ინფორმაცია და დაუსაბუთებელი ბრალდებები ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტთა ტექსტებში. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტთა მხრიდან უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა ეყრდნობოდა ისეთ ინფორმაციას, რომლის სისწორე და სანდოობა არ იყო შესაბამისად დადასტურებული. მაგალითად, გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“, 2018 წლის 18-24 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა სამი სტატია, (*„საქართველო მათ არ უხსენებიათ...“*, გვ. 4; *„მოსკოვი: საფრანგეთი ხორვატია - 4:2, ჰელსინკი: ტრამპი-პუტინი - ?“*, გვ. 5; *„ტრამპი, რუსეთი და გლობალისტები“*, გვ. 7) სადაც წარმოდგენილი იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, ნატოს სამიტის დროს საქართველოს პრეზიდენტის დარბაზიდან გაძევება მოითხოვა: „ბრიუსელის სამიტზე მისულ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ნატოს გენერალური მდივნის - იენს სტოლტენბერგისთვის სამიტზე დამსწრე დელეგაციათა სია მოუთხოვია. და, ამათ აქ რა უნდათო?! - გაჰკვირვებია ტრამპს და ზაალ ბარათაშვილივით თურმე „ქოში უკუღმა ჰყარა“, შემდეგ კი უკრაინის ლოთი და საქართველოს „ქსლის მბეჭველი“ პრეზიდენტები - პეტრე პოროშენკო და გიორგი მარგველაშვილი დარბაზიდან „გაუტანიათ“ (გვ. 5). აღნნიშნულ სტატიებში არ ჩანდა თუ საიდან იყო მოპოვებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტის დარბაზიდან გაძევება მოითხოვა.

არაერთ გამოცემაში გვხვდებოდა საეჭვო წყაროებზე დაყრნობით მოპოვებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტები არ ასახელებნენ ინფორმაციის წყაროს და საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას ურთავდნენ ფრაზებს „გავრცელებული ინფორმაციით...“, „წყაროს ცნობით...“ და ა.შ. მაგალითად: „ამბობენ, რომ სუფრას ძირითად ლეიტმოტივად ღარიბაშვილისგან მესიის შექმნის იდეა გასდევდა...“; „წყაროს ცნობით, ამის შესახებ საუბარი რესტორანში გამართულ სუფრაზეც ისმოდა“ („ახალი თაობა“, *„ღარიბაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება?“*, 19 ივლისი, 2016, გვ. 4); „დაუზუსტებელი ინფორმაციით, სია შედგენილი იყო, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა შემდგენლებს თავზე გადაახია.“; „გავრცელებული ინფორმაციით, სიაში შეიყვანენ ეროვნული ფორუმის აწ უკვე ყოფილ წევრს...“; „გავრცელებული ინფორმაციით, სიაში საიმედო ადგილას იქნება ზაქარია ქუცნაშვილი...“; „გავრცელებული ინფორმაციით, მაჟორიტარებთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას“ („ახალი თაობა“, *„სიის მიღმა დარჩენილი მეოცნებეები სკანდალური განცხადებით იმუქრებიან“*, 12 ივლისი, 2016, გვ. 3). ცხადია, რომ ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში, დასაშვებია, რომ ჟურნალისტმა ინფორმაციის წყარო არ დაასახელოს, თუმცა, ქართულ პრესაში ნიშანდობლივად ხშირად გვხვდება საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნება.

გარდა ინფორმაციის საეჭვო წყაროების სიხშირისა, ქართულ პრესაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ამა თუ იმ პირის მიმართ დაუდასტურებელი ბრალდებების ცალმხრივად, შესაბამისი გადამოწმების გარეშე გამოქვეყნება. ქართული გაზეთების დიდ

უმრავლესობაში საერთოდ არ გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან რესპონდენტთა მიერ გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმების მცდელობა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავდება, როდესაც რესპონდენტები ავრცელებენ კონკრეტული დანაშაულის ბრალდებას ამა თუ იმ პირის მიმართ და ჟურნალისტები კი აღნიშნული ბრალდებების შესახებ არც რესპონდენტებს თხოვენ რაიმე სახის დასტურის წარმოდგენას და არც თავად ცდილობენ ფაქტების გადამოწმებას. მაგალითად, 2018 წლის 6 სექტემბერს „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ლევან ხაბეიშვილი: „ხმა თუ არა ამოვიღეთ, ესენი ჩვენც შეგვჭამენ“ (გვ. 2) რესპონდენტის განცხადებას თბილისის მერის მიერ რესტორნებში 20 დღეში ბიუჯეტიდან 45 000 ლარის დახარჯვის შესახებ არ მოჰყოლია ჟურნალისტის მცდელობა, რომ შესაბამისად გადაემოწმებინა აღნიშნული ინფორმაციის სისწორე; 2018 წლის 21 სექტემბერს „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „იგეგმება ეროვნული გამოცდების გაუქმება“ - ლევან ხაბეიშვილი“ (გვ. 12) რესპონდენტი გამოთქვამდა მძიმე ბრალდებებს ხელისუფლების მიმართ, რადგან, მისი თქმით, საქართველოში იგეგმებოდა ეროვნული გამოცდების გაუქმება. სტატიაში არ ჩანდა ჟურნალისტის მცდელობა, რომ რომელიმე სახელმწიფო უწყებაში გადაემოწმებინა აღნიშული ინფორმაციის სისწორე.

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის წყარო ნათელი იყო, თუმცა მის მიერ გამოთქმულ მძიმე ბრალდებებსა და საკმაოდ საეჭვო მოსაზრებებს არ მოჰყვებოდა ჟურნალისტთა მხრიდან სათანადო რეაქცია. მეტიც, ჟურნალისტები უმეტესად თავად ერთვებოდნენ აღნიშნული სახის დისკუსიაში და რესპონდენტთა მიერ ამა თუ იმ პირის მიმართ გამოთქმული ბრალდებები, შესაბამისი გადამოწმებისა და დასაბუთების გარეშე, სტატიების სათაურებადაც გამოჰქონდათ. ამ ტენდენციის კარგი მაგალითია „ასავალ-დასავალის“ მიერ 2017 წელს საქართველოს ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრების პერიოდში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებშიც აღნიშნული ხანძრების გაჩენა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ბრალდებოდა: „ხანძარი ნაცებმა პოლიტიკური ბრძოლის იარაღად აქციეს“ (21-27 აგვისტო, გვ. 2); „აგვისტოს **ბორჯ**ომი“ (28 აგვისტო - 3 სექტემბერი, გვ. 2); „ნაცხანძრალი საქართველო“ (4-10 სექტემბერი, გვ. 8). ამ სტატიებში რესპონდენტთა განცხადებებს საქართველოს ტერიტორიაზე ხანძრების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთით თუ შესრულებით გაჩენის შესახებ არ მოჰყოლია ჟურნალისტთა მხრიდან აღნიშნული ბრალდებების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულებების მოთხოვნა.

ზოგადად, ქართულ პრესაში სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ის ტენდენცია, რომ რესპონდენტთა მიერ გაჟღერებულ ბრალდებებს ჟურნალისტები ეთანხმებიან, როგორც უტყუარ ფაქტებს. ასეთი შემთხვევები ხშირად გვხვდებოდა არაერთ გამოცემაში; მაგალითად: 2018 წლის 28 სექტემბერს „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „კალაძემ სერგეენკოს ძმა 3.000-ლარიან სამსახურში დაასაქმა“ (გვ. 2) რესპონდენტის განცხადებას ჯანდაცვის მინისტრის ძმის თბილისის მერიაში მაღალანაზღაურებად პოზიციაზე უკონკურსოდ დანიშვნის შესახებ ჟურნალისტის მხრიდან აღნიშნული ფაქტის გადამოწმების ნაცვლად მოჰყვა ჟურნალისტის კომენტარი „აბა, შრომისა და დასაქმების მინისტრის ძმას დაუსაქმებელს ხომ არ დატოვებდნენ“. ასევე, 2018 წლის 7 აგვისტოს „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის წევრები მოისყიდა“ (გვ.2) რესპონდენტის განცხადებას მთავრობის წევრთა მიერ არაკანონიერი გზით მიღებული ანაზღაურებების შესახებ ჟურნალისტი, აღნიშნულ ბრალდებასთან

დაკავშირებით რაიმე სახის მტკიცებულების მიღების მცდელობის ნაცვლად, რესპონდენტს ეკითხება „შავი სალაროს სიკეთით მარტო მინისტრები სარგებლობენ თუ დეპუტატებიც ნახულობენ ხეირს?“; 2018 წლის 25 სექტემბერს „ქრონიკა +“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „სალომე ზურაბიშვილი დარჭობილ ჯოხზე უარესია, რადგან ჯოხი ნულია, ეს - მინუსებშია, ხალხს სძულს“ (გვ. 14-15) რესპონდენტის განცხადებას იმის შესახებ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების შედეგებს „გაალამაზებს“, ჟურნალისტი პასუხობს შეკითხვით „რატომაც არ გაულამაზებს, აგერ აგვისტოში 20 ათასი ლარი აუღია ხელფასად. 20 ათას ლარ ხელფასად სალომე ზურაბიშვილს კი არა, ტუტანხამონს არ გაიყვანს პრეზიდენტად?!“. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტები უფრო კრიტიკულად მიუდგნენ რესპონდენტთა მიერ გავრცელებულ მძიმე ბრალდებებს საზოგადოებისთვის ცნობილი პირებისა თუ სახელმწიფო უწყებების მიმართ. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული ბრალდებები შეიცავს კანონდარღვევის ფაქტებს.

რესპონდენტთა განცხადებების გარდა, ხშირად გვხვდებოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები ჟურნალისტთა ტექსტებშიც. მაგალითად, 2017 წლის 11-17 სექტემბრის ნომერში „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი წერდა: „თემურ მახაური, იგივე რუსლან პაპასკირი, 2007 წელს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მცდელობის საქმეში ფიგურირებდა. მაშინ სპეცსამსახურებმა ეს საქმე გია დგებუაძეს, მეტსახელად „მასტერას“ მიანდეს. ითქვა, რომ „მასტერა“ ვინმე უვაის ახმედოვს ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად დუბაიში შეხვდა. კილერობა რუსლან პაპასკირს უნდა ეკისრა“ (*„ერთი ვერსიით „ზოონი“ საკაშვილის ერთგული იყო და უკრაინის სპეცსამსახურებმა მოიშორეს“*, გვ. 3). სტატიაში არ ჩანდა თუ საიდან ჰქონდა ჟურნალისტს აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებული და თუ რამდენად სანდო იყო ის.

ხშირი იყო შემთხვევებიც, როდესაც გაზეთები აქვეყნებდნენ სხვა მედიასაშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სათანადო გადამოწმების გარეშე. ასეთი სტატიები ხშირად გვხვდებოდა გაზეთ „რეზონანსში“. მაგალითად, 2018 წლის 25 ივნისს „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ბახტაძის ბიოგრაფიიდან „ცენტრ პოინტში“ მუშაობის წლები ამოშლილია“ (გვ. 2) წარმოდგელი იყო უმძიმესი ბრალდებები პრემიერ-მინისტრის მიმართ, რომლებიც არ იყო გამყარებული შესაბამისი ფაქტებით. სტატიაში ინფორმაციის წყაროდ წარმოდგენილი იყო ტელეკომპანია „რუსთავი 2“, თუმცა, არ ჩანდა თუ საიდან ჰქონდა აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებული თავად „რუსთავი 2“-ს. ასევე, სტატიაში არ ჩანდა ჟურნალისტის მცდელობა, რომ წარმოედგინა აღნიშნული ბრალდებების შესაბამისი მტკიცებულება. ასევე, 2018 წლის 12 ნოემბერს „რეზონანსში“ გამოქვეყნდა სტატია „შეშის ვაუჩერი პოლიტიკური ნიშნით - კასპში ვაუჩერები მხოლოდ „ოცნების“ მხადამჭერებს გადასცეს“ (გვ 9). სტატიაში ინფორმაციის წყაროდ წარმოდგენილი იყო მხოლოდ „პირველი რადიო“ და არ ჩანდა თუ საიდან ჰქონდა აღნიშნული ინფორმაცია მოპოვებული თავად „პირველ რადიოს“ და თუ რამდენად სანდო იყო ის. ასევე, არ ჩანდა ჟურნალისტის მცდელობა, რომ დამატებითი ინფორმაცია მოეპოვებინა სტატიაში წარმოდგენილი ფაქტების შესახებ.

არაობიექტური გაშუქება

ქართულ ბეჭდურ გამოცემებში ასევე ხშირად შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ. პოლიტიკოსთა უარყოფითი გაშუქება ხშირად გვხვდებოდა არა კონსტრუქციული კრიტიკისა და შესაბამისი ფაქტებით გამყარებული მსჯელობის, არამედ მძიმე პიროვნული შეურაცხყოფისა და დაუსაბუთებელი ბრალდებების გზით. მონიტორინგის პერიოდში განსაკუთრებულად მძიმე შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია სისტემატურად გვხვდებოდა გაზეთებში „ასავალ-დასვალი“ და „ალია“. აღნიშნული გამოცემების ჟურნალისტები ხშირად იყენებდნენ უკიდურესად მძიმე შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას პოლიტიკოსთა გაშუქებისას; მაგალითად: „თქვენ იცით, ხადურს თავზე თმა რატომ არ აქვს?! ვაზელინით ისეა გაპოხილი, რომ მის სკალპზე თმის ღერი აღარ ხარობს...“ („ალია“, *„ქართულმა ოცნებამ შენ მოგატყუა“*, 15-21 აგვისტო, 2016, გვ. 9); „ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ ეს შემადგენლობა, თუკი, რა თქმა უნდა, გავა, უსუფოვის სამპროცენტიანი პარლამენტის მიერ დაწყებულ ყველა ანტიქართულ საქმეს პირწმინდად დაასრულებს, - დააკანონებს ერთსქესიანთა ქორწინებას, ინცესტს, პედოფილიას და ყველა იმ გარყვნილებას, რაც დღეს დასავლეთში სუფევს...“ („ალია“, *„შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“*, 1-7 აგვისტო, 2016, გვ. 12); „წარმოიდგინეთ, რა დონეზე უნდა დაეცეს პარტიად წოდებული (აწ უკვე ასო!) რესპუბლიკური პარტია, რომ პოლიტიკურ, საჯარო არჩევნებში ამ „მამალი ლესბოსელის“ გარდა, მხარდამჭერი ვერავინ მოძებნოს!“ („ასავალ-დასავალი“, *„რესპუბლიკელები თბილისის მერად ლესბოსელ კანდიდატს ემხრობიან!“*, 21-27 აგვისტო, 2017, გვ. 8); „ნიკა გვარამიამ და ნაცსექტის წარმომადგენლებმა მწარე წიწაკა არათუ შეჭამონ, არამედ უკანალშიც რომ ამოისვან, გრიგოლ ვაშაძე-ანანიაშვილისა საქართველოს პრეზიდენტი მაინც ვერ გახდება“ („ასავალ-დასავალი“, *„ქაქს ჭამენ, წიწაკას აყოლებენ!“*, 24-30 სექტემბერი, 2018, გვ. 11).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოცემებში შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია გვხვდებოდა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების გაშუქებისას. თუმცა, განსაკუთრებულად მძიმე შეურაცხყოფა უმეტესად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, „ევროპული საქართველოს“, „რესპუბლიკური პარტიისა“ და საქართველოს პრეზიდენტის გაშუქებისას გვხვდებოდა. როგორც მმართველი, ასევე ოპოზიციური ძალების მიმართ უკიდურესად უარყოფითი განწყობა შესაბამისად აისახებოდა რაოდენობრივ მონაცემებშიც:





ჟურნალისტთა ტექსტების გარდა, ხშირად გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი განცხადებები რესპონდენტთა განცხადებებში და არ ჩანდა ჟურნალისტთა მცდელობა, რომ რაიმე სახით გამიჯვნოდნენ აღნიშნულ განცხადებებს. მეტიც, უმეტეს შემთხვევებში, ჟურნალისტები თავად ერთვებოდნენ ასეთი ფორმის დისკუსიაში. მაგალითად, „ალიას“ ჟურნალისტის მხრიდან არ ყოფილა მცდელობა, რომ გამიჯვნოდა „ქართული მარშის“ ერთ-ერთი

ლიდერის, გირგი კორკოტაშვილის, უკდირესად შეურაცხმყოფელ განცხადებას პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის, მიმართ: „სრული კოლაფსის ფონზე „ქართული ოცნება“ ისეთ საპრეზიდენტო კანდიდატს გვთავაზობს, რომ სადაც არ უნდა გათხარო, გინდა თუ არა, ყველგან სალომეს უნდა გათხარო!“ (*„სერიოზულად ვამბობ! რევოლუციის სუნი მცემს“*, 30 სექტემბერი, 2018, გვ. 3).

არაერთ გამოცემაში გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი ფრაზები სტატიების სათაურებშიც; მაგალითად: „ქოცისტანის დედალ-მამალი მზეები“ („ქრონიკა +“, 24 ივლისი - 6 ოქტომბერი, 2018, გვ. 13); „ხეპრე, ავყია, უზრდელი, ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ქალი, რომელსაც არ უყვარს საქართველო და შუბლზე ძარღვგაწყვეტილი ილტვის პრეზიდენტობისკენ“ („ალია“, 23-29 სექტემბერი, 2018, გვ. 19).

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები არ შეგვხვედრია რეგიონულ გამოცემებში. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში დაკვირვება ხდებოდა 9 რეგიონულ გაზეთზე და არც ერთ აღნიშნულ გაზეთში არ შეგვხვედრია შეურაცხმყოფელი ტემინოლოგია ჟურნალისტთა ტექსტებში.

სამწლიანი მონიტორინგის პერიოდში შეგვხვდა სულ ორი გამოცემა, რომლებშიც ცალსახად შეინიშნებოდა მმართველის გუნდის მხარდაჭერა. რეგიონულ გაზეთებში „ბორჯომი“ და „სვანეთი“ ხელისუფლების მიმართ უაღრესად დადებითი განწყობა შეინიშნებოდა როგორც რაოდენობრივი დაკვირვების შედეგად:





ასევე თვისებრივი დაკვირვების შედეგადაც. აღნიშნულ გამოცემებში ხელისუფლების საქმიანობა და რეგიონებში არსებული მდგომარეობა შუქდებოდა მხოლოდ დადებითი კუთხით და არ გვხვდებოდა აღნიშნულ რეგიონებში არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ რაიმე სხვა სახის პრობლემების გაშუქება. მმართველი გუნდის მიმართ უაღრესად დადებითი განწყობა გაზეთებში „ბორჯომი“ და „სვანეთი“ ცხადად ჩანდა ჟურნალისტთა ტექსტებსა და სტატიების სათაურებშიც; მაგალითად, 2017 წლის 13 ივლისს გაზეთ „ბორჯომში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ამომრჩეველზე ზრუნვით დაღლილი“ (გვ. 2), რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ გაზეთ „ბორჯომის“ მთავარ გვრდზე გვხვდებოდა წარწერა „იყავით მუდამ ინფორმაირებული ჩვენი საქმიანობის შესახებ. ბორჯომის მუნიციპალიტეტი“. თუ გაზეთი ფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით, ასეთ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაზეთმა უფრო გარკვევით მიუთითოს და შესაბამისად, შეატყობინოს მკითხველს ამის შესახებ.

ერთადერთი გამოცემა, რომელშიც რიგ შემთხვევებში შეინიშნებოდა ოპოზიციური ძალის, კონკრეტულად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა იყო „ქრონიკა +“. აღნიშნულ გამოცემაში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, რაოდენობრივი დაკვირვების შედეგად, ცხადად შეინიშნებოდა დადებითი განწყობა პრეზიდენტობის კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძის, ხოლო უკიდურესად უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის, მიმართ:



აღნიშნული პარტიის მიმართ დადებითი განწყობა გამოიკვეთა 2016 წლის მონიტორინგის პერიოდშიც, როდესაც „ქრონიკა +"-ის ჟურნალისტი ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერის შესახებ წერდა: „ლევან ვაშალომიძე მართლაც საკმაოდ აკადემიურად და თავდაჯერებულად გამოიყურება, ამომრჩეველს კი, როგორც ჩანს, ჩაწნექილი სკამები კი არა, ხელისუფლებაში სწორედ ასეთი - თავდაჯერებული და შენების შემძლე ადამიანები მოენატრა" (*„ბათუმში სკამები ამოიზნიქება, ანუ მიშას ტესტი N1"*, 5 ივლისი, გვ. 15).

საარჩევნო კანდიდატების დადებითი გაშუქების საინტერესო შემთხვევები შეგვხვდა „ალიაში". 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში „ალიაში" გამოქვეყნდა სამი სტატია მაჟორიტარ კანდიდატთა შესახებ, რომლებშიც ჟურნალისტი უჩვეულოდ დადებითად ახასიათებდა აღნიშნულ კანდიდატებს; მაგალითად: „ცეზარ ჩოჩელის გაცნობისთანავე ტურბულენტურ ზონაში ხვდები, ის არის არაორდინალური პიროვნება, დიდი ენერგიის მატარებელი. კაცი, რომელიც თავისი ცხოვრებით ჰგავს მითოლოგიურ ცეცხლოვან ფრინველს - ფენიქსს, რომელსაც აქვს თვითწვის უნარი. რამდენჯერაც დაიფერფლა, იმდენჯერ ფერფლისგან აღსდგა" (*„იშრომა, იბრძოლა, გასამართლდა, გამართლდა და გაიმარჯვა!"*, 12-18 სექტემბერი, გვ. 8); „მიზანმიმართული, რისკიანი, დინამიკური, გაბედული, ოპტიმისტი, რომელიც ყველა სიძნელეში განვითარებისა და წინსვლის ახალ შესაძლებლობას ხედავს, არის მაქსიმალისტი, საქმეში ბოლომდე იხარჯება და მუდმივად კარს უღებს ცვლილებებს" (*„გოჩა ენუქიძე: „ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ და მთას დავუბრუნებთ სიცოცხლეს!"*, 19-25 სექტემბერი, გვ. 6). ნიშანდობლივია, რომ მაჟორიტარობის კანდიდატთა ასეთი უჩვეულოდ დადებითი შეფასებები შეგვხვდა „ალიაში", რომელიც ყოველთვის გამოირჩევა უაღრესად უარყოფითი განწყობით როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების მიმართ.

სარეკლამო სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან

მონიტორინგის პერიოდში გვხვდებოდა ისეთი გამოცემებიც, რომლებშიც რაოდენობრივი დაკვირვების შედეგად არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების სხვადასხვა სახის დარღვევები. მაგალითად, გაზეთ „რეზონანსში" რაოდენობრივი მონიტორინგის შედეგები, ჩვეულებრივ, საკმაოდ დაბალანსებული იყო:



თუმცა, აღნიშნულ გამოცემაში სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების სარედაქციო მასალებისგან არასათანადო გამიჯვნა. ამ ტიპის სტატიები 2016 წლის მონიტორინგის პერიოდში „რეზონანსში“ გვხვდებოდა ჩარჩოში ჩასმული, ხოლო გაზეთის ბოლო გვერდზე საკმაოდ წვრილი შიფტით იყო მითითებული, რომ ჩარჩოში ჩასმული სტატიები იყო სარეკლამო. 2017 წლის მონიტორინგის პერიოდში კი სარეკლამო სტატიების ნაწილი აღარც ჩარჩოში იყო ჩასმული და აღნიშნულ სტატიებს დასაწყისში ჰქონდა მითითებული რუბრიკის სახელი ისეთივე ფორმატით, როგორც სხვა რუბრიკებს. შესაბამისად, ნაკლებად წარმოსადგენი იყო მკითხველისთვის განსხვავების პოვნა სარეკლამო სტატიებისა და სარედაქციო მასალებს შორის. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2018 წლის მონიტორინგის პერიოდშიც.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩინდა როდესაც საარჩევნო სუბიექტის შესახებ მომზადებული სარეკლამო სტატიები გამოქვეყნდა შესაბამისი მითითების გარეშე. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში, შესაბამისი სარეკლამო მითითების გარეშე, რუბრიკის სათაურით „მოვლენა“, „რეზონანსში“ გამოქვეყნდა ორი სტატია „ქართული ოცნებისა“ და თბილისის მერობის ერთ-ერთი კანდიდატის, კახა კალაძის, შესახებ: „თბილისის ერთგულება და სიყვარული - 25 კანდიდატი ერთი ნიშნით გაერთიანდა“ (4 სექტემბერი, 2017, გვ. 3) და „7 მიმართულება სიცოცხლით სავსე ქალაქისთვის“ (6 სექტებმერი, 2017, გვ. 3).

სარეკლამო სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქიო მასალებისგან შეგვხვდა არაერთ გამოცემაში 2018 წლის მონიტორინგის პერიოდშიც. მაგალითად, სტატია „ნიკოლოზ გაგუა: საქართველოს ეკონომიკის ზრდა ერთ-ერთი ყველაზე მდგრადია რეგიონში“, ანალოგიური ტექსტით, ანალოგიური სათაურითა და თანდართული ფოტოსურათით, ერთდროულად გამოქვეყნდა მონიტორინგისთვის შერჩეულ ორ გაზეთში („ახალი თაობა“ და „რეზონანსი“)

და ორ ონლაინ გამოცემაში (ipress.ge და interpressnews.ge). აღსანიშნავია, რომ ეს სტატია ვებსაიტზე interpressnews.ge გამოქვეყნდა სარეკლამო მითითებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგისთვის შერჩეულ აბსოლუტურად ყველა რეგიონულ გამოცემაში სარეკლამო სტატიებს დართული ჰქონდა საკმაოდ მკაფიო, მკითხველისთვის მარტივად შესამჩნევი, შესაბამისი მინიშნებები.

სისტემატური კრიტიკა

ქართულ პრესაში გვხვდებოდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გამოცემაში გვხვდებოდა რომელიმე ერთი კონკრეტული პირის სისტემატური, მიზანმიმართული კრიტიკა, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ გამოცემის მიზანი არა ამა თუ იმ პირის საქმიანობის ობიექტური გაშუქება და შეფასება, არამედ აღნიშნული პირის დიკრედიტაცია იყო. მაგალითად, 2016 წლის მონიტორინგის პერიოდში „ქრონიკა +"-ის თითქმის ყველა ნომერში გვხვდებოდა საკმაოდ ვრცელი სტატიები ერთი კონკრეტული პირის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის, იოსებ გოგაშვილის, შესახებ. აღნიშნული სუბიექტის კრიტიკის დროს ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტთა შეურაცხმყოფელი განცხადებებიც. მაგალითად, სტატიებში „სოსო მეტსახელად ანტრიკოტა" (28 მაისი, გვ. 7); „იოსებ, სპეცჯგუფები გადაგიყოლებს შენ" (5 ივლისი, გვ. 7); „სოსოს სიზმარი" (27 სექტემბერი, გვ. 7); „ქვეყანა სადაც „ანტრიკოტა" არჩევნებს გვიტარებს..." (4 ოქტომბერი, გვ. 7); „ქვეყნის კრიზისსაც სოსო ჰქვია!" (18 ოქტომბერი, გვ. 7). ასეთი ტენდენცია შეინიშნებოდა 2018 წლის მონიტორინგის პერიოდშიც, გაზეთ „კვირის პალიტრაში", რომელშიც სისტემატურად გვხვდებოდა იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის, კრიტიკა. აღნიშნული კრიტიკა წარმოდგენილი იყო ცალმხრივად, ხშირად ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები და არ ჩანდა ჟურნალისტთა მცდელობა განსხვავებული მოსაზრებების წარმოდგენისა აღნიშნული ბრალდებების საპასუხოდ (მაგალითად, სტატიებში: „წულუკიანი მისივე „რეფორმირებული" სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებს?!", 18-24 ივნისი, გვ. 6; „თეა წულუკიანი სკამის შესანარჩუნებლად ბევრ რამეზეა წამსვლელი", 25 ივნისი - 1 ივლისი, გვ. 6; „წულუკიანი თვითონ ხელისუფლებისთვის იქნება კომპრომატი", 16-22 ივლისი, გვ. 6-7; „თქვენი ქონება რეესტრში აბსოლუტურად დაუცველია", 9-15 ივლისი, გვ. 10-11; „ლია მუხაშავრია: „დღეს სასამართლო „კოზა ნოსტრას" პრინციპით იმართება", 13-19 აგვისტო, გვ. 7). აღნიშნულ სტატიებში რესპონდენტთა ბრალდებებისა და კრიტიკის ცალმხირვად წარმოდგენის გარდა, თავად ჟურნალისტთა ტექსტებშიც შეინიშნებოდა ცალსახად უარყოფითი განწყობა მინისტრის მიმართ.

არჩევნების გაშუქება

ქართულ პრესაში არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, ხშირ შემთხვევებში, ჟურნალისტური სტანდარტების ისეთივე უხეში დარღვევების ფონზე ხდებოდა, როგორც სხვა საკითხების გაშუქება. გამოცემების ნაწილი ცდილობდა და ახერხებდა, რომ არჩევნების პერიოდში სათანადო ფართობი დაეთმოთ სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებისთვის, თუმცა, დიდი ნაწილი მოვლენებს აშუქებდა ცალმხრივად და არაობიექტურად. საარჩევნო კანდიდატების გაშუქებისას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა

მათ საარჩევნო პროგრამებსა და ხედვებს. ხშირად გვხვდებოდა საარჩევნო კანდიდატების დისკრედიტაციის მცდელობა სხვადასხვა გამოცემის მიერ, რაც, ხშირ შემთხვევებში, აღნიშნული კანდიდატების პიროვნული შეურაცხყოფისა და დაუსაბუთებელი ბრალდებების ფონზე ხდებოდა.

გაზეთების ნაწილი (მაგალითად, „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“, „ახალი თაობა“) არჩევნების პერიოდში მკითხველს სთავაზობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა მოსაზრებებს. ნაწილი კი (მაგალითად, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა +“), უმეტეს შემთხვევებში, ნაკლებ ფართობს უთმობდნენ თავად პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს და რესპონდენტებად იწვევდნენ ისეთ პირებს, რომლებიც აკრიტიკებნდენ ამ გამოცემებისთვის ნაკლებად მისაღებ პოლიტიკოსებსა თუ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ გაზეთების დიდი ნაწილისთვის არჩევნების პერიოდში მთავარი მიზანი არა საზოგადოების მაქსიმალურად ობიექტურად ინფორმირება, არამედ ამომრჩეველზე ზემოქმედებაა ამა თუ იმ საარჩევნო კანდიდატის მხარდასაჭერად, თუ პირიქით.

აღსანიშნავია, რომ გამონაკლისს აქაც რეგიონული გამოცემები წარმოადგენდნენ. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შერჩეული რეგიონული გაზეთების დიდ უმრავლესობაში არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი არ უარყოფითი განწყობა რომელიმე საარჩევნო კანდიდატის მიმართ.

სამწლიანი დაკვირვების შედეგად, ზოგ გამოცემაში გამოვლინდა ცვლილებები პოლიტიკური ძალების მხარდაჭერის კუთხით. მაგალითად, „ალია“ და „ასავალ-დასავალი“ 2016, 2017 და 2018 წლებში გამოირჩეოდნენ როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკით; თუმცა, ორივე გამოცემაში ოპოზიციური პარტიის კრიტიკა გაცილებით მწვავე იყო. განსაკუთრებით, „ასავალ-დასავლში“, რომელიც ყოველთვის ღიად მოუწოდებდა მკითხველს, რომ არჩევნებში არ მიეცათ ხმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ან „ევროპული საქართველოსთვის“. 2018 წლის მონიტორინგის პერიოდში კი გამოვლინდა, რომ ორივე აღნიშნული გაზეთი არანკლებ კრიტიკულად იყო განწყობილი მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის, მიმართ. აღნიშნული კანდიდატის კრიტიკა ამ გამოცემებში ხშირად ხდებოდა უმძიმესი პიროვნული შეურაცხყოფისა და ცალმხრივი კრიტიკის ფონზე. ეს ტენდენცია კარგად გამოჩნდა როგორც რაოდენობრივ მონაცემებში:



ასევე თვისებრივი დაკვირვების შედეგადაც; მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში „ალიას“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა საკმაოდ დიდი მოცულობის ფოტო, მინაწერით „სალომეს წყევლა“, რომელზეც სალომე ზურაბიშვილი წარმოდგენილი იყო ერთ-ერთი ცნობილი საშინელებათა ჟანრის ფილმის პერსონაჟად. „ასავალ-დასავალში“ კი აღნიშნული კანდიდატის გაშუქება უმძიმესი შეურაცხყოფის ფონზე ხდებოდა; მაგალითად, 2018 წლის 13-19 აგვისტოს ნომერში „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი წერდა: „ხალხში „პარიჟანკად“ მონათლული ქალბატონი სალომეს ლიბერასტული მიდრეკილებებისა და შეხედულებების შესახებ საქართველოში ბავშვმაც კი იცის, მაგრამ ეს „ანალისტები“ მაინც აშკარად ნამეტანია! ახლა, მთელი საქართველო ზის და ფიქრობს, სალომეს მიერ ნათქვამი ეს „ანალისტები“ რას ნიშნავს - ანალურ ხვრელში შემმვრალებს თუ ანალური ხვრელიდან გამომმვრალებს?!“ („რას ნიშნავს „ანალისტები“, 13-19 აგვისტო, გვ. 19).

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, მეორე ტურის პერიოდში „ასავალ-დასავალშიც“ და „ალიაშიც“ შემცირდა სალომე ზურაბიშვილის გაშუქების უარყოფითი მაჩვენებლები და გაიზარდა დადებითი ტონის მაჩვენებლები:



ამავდროულად, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების მეორე ტურის პერიოდში, „ალიაში“ და „ასავალ-დასავალში“ უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ვლინდებოდა გრიგოლ ვაშაძის გაშუქებისას:



რეგიონული გამოცემები

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში დაკვირვება ხდებოდა რეგიონულ პრესაზე. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა ტექნიკური სახის სხვადასხვა ხარვეზი, რომლებიც, სავარაუდოდ, ფინანსური პრობლემებით იყო განპირობებული; მაგალითად, ზოგი გაზეთი ვერ ახერხებდა ყველა ნომრის დროულად დაბეჭდვას, ზოგ გაზეთში შეინიშნებოდა სტატიების სიმცირე და ა.შ.

უნდა არინიშნოს, რომ რეგიონული გამოცემების უმეტესობა ცდილობდა და ახერხებდა ჟურნალისტური სტანდარტების დაცვას. ცენტრალური გაზეთებისგან განსხვავებით, არც ერთ რეგიონულ გაზეთში არ შეგვხვედრია შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია. ასევე, ორი გამონაკლისის გარდა („სვანეთი“ და „ბორჯომი“) არც ერთ რეგიონულ გამოცემაში არ შეინიშნებოდა ცალსახად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა რეგიონულ გამოცემაში სარეკლამო სტატიები მკაფიოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონულ გამოცემებში არ გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების ისეთი უხეში დარღვევის შემთხვევები, როგორებიც სისტემატურად გვხვდება ცენტრალურ პრესაში. თუმცა, რეგიონულ გაზეთებშიც გვხვდება ხარვეზები, როგორიც არის, მაგალითად, ექსკლუზიური მასალების სიმცირე.

დასკვნა

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული პრესის უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უგულებელყოფა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბეჭდური გამოცემების დიდი ნაწილი საერთოდ არ ზრუნავს მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეზე. სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან შესაბამისი ფაქტებით გაუმყარებელი მსჯელობა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება.

სისტემატურად ხდება რესპონდენტთა განცხადებების გადაუმოწმებლად გავრცელება. მათ განცხადებებს, რომლებიც ხშირად მძიმე ბრალდებებს შეიცავს ამა თუ იმ პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო უწყების მიმართ, ჟურნალისტები რაიმე სახის დადასტურების მოთხოვნის ნაცვლად, უმეტეს შემთხვევებში, ეთანხმებიან როგორც უტყუარ ფაქტებს. თითქმის არ გვხვდება ჟურნალისტთა მცდელობა, რომ რაიმე სახით გადაამოწმონ მათი გაზეთის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავდება, როდესაც გავრცელებული ინფორმაცია შეიცავს მძიმე დანაშაულის ბრალდებებს ამა თუ იმ პირის მიმართ. ასევე, პრესაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სხვა მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის გადაუმოწმებლად გამოქვეყნება.

აღსანიშნავია ქართულ პრესაში შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული განცხადებების სიხშირე. მონიტორინგისთვის შერჩეული არაერთი გაზეთის ჟურნალისტები სისტემატურად იყენებენ შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა გაშუქებისას. ხშირია შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია რესპონდენტთა ტექსტებშიც და აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად არასდროს გვხვდება ჟურნალისტთა მცდელობა, რომ გაემიჯნონ რესპონდეტთა უმძიმეს შეურაცხმყოფელ განცხადებებს. მეტიც, ხშირად რესპონდენტთა განსაკუთრებულად შეურაცხმყოფელი განცხადებები წარმოდგენილია სტატიების სათაურებად.

ქართულ გამოცემებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის წყაროთა სიმცირე. სტატიების უმეტესობა მზადდება ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით და იშვიათად გვხვდება განსხვავებული მოსაზრებები ცალკეულ სტატიებში.

შედეგად, საკითხები შუქდება ცალმხრივად და მკითხველს არ ეძლევა შესაზლებლობა, რომ გაეცნოს განსხვავებულ შეხედულებებს სხვადასხვა საკითხის მიმართ.

პრობლემას წარმოადგენს პრესაში ექსკლუზიური მასალების სიმცირეც. ასევე, ინფორმაციის წყაროდ პოლიტიკოსთა და გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა ნაცვლად ექსპერტთა სიმრავლე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ გამოცემებში ექსპერტთა ერთფეროვნება. ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოცემების მიერ შერჩეული ექსპერტები შეფასებებს აკეთებენ პრაქტიკულად ყველა საკითხის შესახებ.

აღნიშნული ტენდენციები უარყოფითად აისახება არჩევნების პროცესების გაშუქებაზეც. ხშირ შემთხვევებში, საარჩევნო სუბიექტთა გაშუქება ხდება მძიმე პიროვნული შეურაცხყოფისა და დისკრედიტაციის ფონზე. იშვიათად გვხვდება მიუკერძოებელი, დასაბუთებული მსჯელობა საარჩევნო კანდიდატთა პროგრამებსა და ხედვებზე. შესაბამისად, ქართული ბეჭდური გამოცემების უმრავლესობა ვერ ახერხებს მკითხველისთვის ობიექტური და მრავალმხრივი ანალიზის მიწოდებას ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესების შესახებ. სამწუხაროდ, აღნიშნული ტენდენცია შეინიშნებოდა მონიტორინგის სამივე წლის განმავლობაში.